[illegible] ფასი 10 კ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ორკვირეული პოლიტიკურიე კონომიური,
და ლიტერტურული ჟურნლი.

კვირა 10 ივნისი
1928 წელი

ჟურნალზე ხელის მოწერა მიიღება
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, ტფილისი რუსთაველის პროსპექტი, № 34. ჟურნალში მოსათავსებელი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით ტფილისი, რევოლიუციის მუზეუმი—პეტრე გელეიშვილი:

№ 70 (18)

## ჟურნალის შინაარსი

ამხ. ალ. გეგეჭკორის გარდაცვალების გამო; თვითკრიტიკა საბჭოთა სისტემაში; ეპოქის ძახილი — **ზ. ჩახვაძე**; ევგენი გეგეჭკორი მებრძოლი მენშევიზმის თეორეტიკოსის როლში — **ყარიბი**; პოლიტიკური ორკვირეული — **ინფორმატორი**; მომავალი საზოგადოების ახალი ქალი — **ლეო შენგელაია**; ავღანისტანი — **ბარელი**; „ჯაყოს ხიზნები“ მიხეილ ჯავახიშვილისა — **სით ქანთურიშვილი**; რას გვავალებს თანამედროვე მომენტი — **დავით გოგუაძე**; თეატრი და რევოლიუცია — **ვახტანგ გარრიკი**.

## ამხ. ალ. გეგეჭკორის გარდაცვალების გამო

უაღრესად ძნელ პირობებში უხდება საბჭოთა ხელისუფლებას სოციალისტური მშენებლობის წარმოება. საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია იმპერიალისტური სახელმწიფოებით, რომელთა მთავრობები მუდამ იმის ცდაში არიან, რომ შექმნან მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და შეერთებულის ძალით მოსპონ საბჭოთა სოციალისტური წყობილება.

უაღრესად დიდი სიძნელეების წინაშე ვდგევართ ქვეყნის შიგნიდაც; საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო გაჩანაგებული მრეწველობა, დალუპვის პირას მისული სასოფლო მეურნეობა, აწეწილი ფინანსიური მდგომარეობა. ამას ზედ დაერთო აგრეთვე ხანგრძლივი სამოქალაქო ომი და იმპერიალისტური ქვეყნების ინტერვენცია. ასეთ პირობებში თავის-თავად ცხადია საჭირო იყო უაღრესი თავდადება, მტკიცე ენერგია, მართველი პარტიის სწორი ხელმძღვანელობა და მშრომელი მასების ფართედ ამოქმედება დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღსადგენად. და სოციალისტურ ნიადაგზე მოსაწყობად.

საბჭოთა ხელისუფლების მტრები სამოქალაქო ომების დამთავრების შემდეგ სწორედ ამ სიძნელეებზე ამყარებდენ თავიანთ დღეს უკვე დამსხვრეულ იმედებს. ისინი საქვეყნოდ გაიძახოდენ, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლება ვერ მოახერხებდა მეურნეობის აღდგენას და ამ ფრონტზე უსათუოდ დამარცხდებოდა.

საბჭოთა წყობილების არსებობის მეთერთმეტე წელიწადაც კი არ აუღიათ ხელი საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ამ ოცნებაზე. ბევრი იმათგანი, რომლებიც მოკალათებულნი არიან ჩვენს სამეურნეო ორგანოებში დღესაც განაგრძობენ დამრღვევ მუშაობას, მიმართავენ საბოტაჟს, აზიანებენ წარმოებას, ფლანგავენ სახელმწიფო თანხებს, ადგენენ საზარალო გეგმებს და ასეთი მოქმედებით სურთ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა წყობილებას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ენერგიულმა მუშაობამ, მშრომელი მასების აქტიურად ჩაბმამ საბჭოთა მშენებლობაში და თვითკრიტიკის ლოზუნგის ფართედ გამოყენებამ უკანასკნელ დროს შესაძლებელი გახადა მთელი რიგი დამრღვეველი და საზიანო მუშაობის შემთხვევების აღმოჩენა. ჩვენს ყოველდღიურ პრესაში ხშირად შეხვდებით ცნობებს ასეთი ფაქტების აღმოჩენის შესახებ. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტს ამ მხრივ წარმოადგენს შახტის რაიონის დამზიანებელთა ორგანიზაციის აღმოჩენა, რომელთა მონაწილეობას დღეს ასამართლებს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლო.

ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს, თუ როდენი სიძნელეების წინაშე ვდგევართ და როგორი თავდადება და ენერგიის გამოჩენაა ჯერ კიდევ საჭირო სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ასეთ პირობებში მმართველი პარტიის თვითეულ წევრს და საბჭოთა მშენებლობის თვითეულ გულწრფელ მოამაგეს ეკისრება ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობა. ხოლო საბჭ. სოციალისტურ მშენებლობაში ამხ. გეგეჭკორს თავიდანვე დაკისრებული ქონდა დიდად საპასუხისმგებლო როლი. ის იყო კომუნისტური პარტიის ძველი წევრი, ამ პარტიის იდეებისათვის თავდადებული მებრძოლი, როგორც თვითმპყრობელობისა და მენშევიკური წყობილების დროს. ისე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. სამოქალაქო ომებში ამხ. ალ. გეგეჭკორი თავიდანვე იღებდა აქტიურ მონაწილეობას და მუდამ გამო-

დიოდა ამ ბრძოლის დროს ერთ-ერთ ხელმძღვანელად. ამხ. გეგეჭკორს ერთხელაც არ შეუნელებია ბრძოლა საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის.

1921 წლიდან დღემდე ამხ. გეგეჭკორი მუშაობდა ფრიად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან პოსტზე. ის სიკვდილამდე სათავეში ედგა საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საქართველოში მრეწველობის აღორძინებისათვის წარმოებულ ტიტანიური მუშაობისა, სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ თამაშობს გადამჭრელ როლს და წარმოადგენს უმთავრეს შემოსავლის წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტში.

როგორ ხელმძღვანელობას უწევდა ამხ. გეგეჭკორი საქართველოში სასოფლო მეურნეობის წინსვლისა და აღორძინების საქმეს?

უსათუოდ კარგს. ამის თავდებია სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა. მეურნეობის რომელდარგიც არ უნდა აიღოთ, ყველგან დიდი მიღწევებია. პურეულის მოსავალი სჭარბობს ომის წინა დროინდელს; აღდგენილ იქნა გაჩანაგებული მევენახეობა, რაც ერთ უმთავრეს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დღეს ჩვენი რესპუბლიკისათვის; განვითარდა და აღორძინდა მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა, მებამბეობა. განსაკუთრებული ყურადღებაა მიქცეული კულტურული მცენარეების მოსაშენებლად. ამ მხრივ პირველ ყოვლისა აღსანიშნავია საქართველოში ჩაის პლანტაციების მოშენების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება, ჩაის დასამზადებელი ქარხნების გამრავლება და სხვ.

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედების კომისარიატი ამხ. ალ. გეგეჭკორის მეთაურობით განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოში კოლექტიურ მეურნეობის შექმნა-განვითარების საქმეს. ამას წინად ჩატარებულ კოლმეურნეობათა წარმომადგენლების ყრილობაზე ნათლად გამოირკვა, რომ მიუხედავად ნაკლოვანებებისა, საქართველოში კოლექტიურ მეურნეობებს ეყრება მტკიცე საფუძველი და მომავლისთვის გადამჭრელ როლს ითამაშებს სასოფლო-მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

ყველა ამ მუშაობას სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა ამხ. გეგეჭკორი და ყოველთვის მტკიცედ ატარებდა დაკისრებულ მოვალეობას.

თვით მმართველი პარტიის რიგებშიც ამხ. გეგეჭკორს ყოველთვის ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობა. ის იყო საქ. კომპარტიის ცეკას და სხვა ორგანიზაციების წევრი.

უაღრესად მძიმე და დიდი დანაკლისია ამხ. ალ. გეგეჭკორის ტრაგიკულად დაღუპვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ამხ. გეგეჭკორის სახით მმართველმა პარტიამ დაჰკარგა ბრძოლაში გამობრძმედილი, საბჭოთა წყობილებისათვის თავდადებული, წევრი; ხოლო საბჭოთა ხელისუფლებამ — სამეურნეო ფრონტზე ენერგიული მუშაკი, მაგრამ კომუნისტური პარტია დაჩვეულია ასეთი მსხვერპლის გაღებას. მან თავის რიგებიდან არა ერთი და ორი ღირსეული მებრძოლი გამოკლებია სამოქალაქო ომებისა და სამეურნეო ფრონტებზე მუშაობის დროს. პარტია და ხელისუფლება ცრემლს არ ღვრის ამხ. ალ. გეგეჭკორის ცხედრის წინაშე, მას არ სჩვევია გოდება ასეთი უბედურების დროს. სამაგიეროდ კომუნისტური პარტია დასდებს მტკიცე ფიცს ამხ. გეგეჭკორის საფლავის წინაშე, რომ ის განაგრძობს ბრძოლას იმ საქმის საბოლოოდ დასაგვირგვინებლად, რომლისათვის ათეული წლები იბრძოდა ამხ. ალ. გეგეჭკორი და, რასაც ეწოდება მშრომელთა საბოლოო განთავისუფლება ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან.

ეს იქნება საუკეთესო ხსოვნა ტრაგიკულად დაღუპულ ამხ. გეგეჭკორისათვის.

# თვითკრიტიკა საბჭოთა სისტემაში

სოციალისტური მშენებლობა საზოგადოთ ყოველთვის მეტად რთული და მძიმე საქმედ იყო წარმოდგენილი, ხოლო ჩვენს პირობებში კიდევ უფრო რთული გამოდგა იგი ორი გარემოების გამო. პირველად საბჭოთა ქვეყნების საერთო ჩამორჩენილობა, როგორც ტეხნიკით, ისე საერთო კულტურით. მეორე კი ის საერთაშორისო გარემოცვა, რომელშიაც ჩვენი კავშირია მოქცეული.

არ არის არც ერთი სხვა კუთხე ქვეყნისა, სადაც შეგნებულად ტარდებოდეს სოციალიზმის მშენებლობა, გარდა თითო-ოროლა მუნიციპალური მეურნეობისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტების ან კომუნისტების მიერ არჩეული აღმასრულებელი ორგანოები. უკანასკნელთა მოქმედების არე მეტად ვიწრო და განსაზღვრულია. თვით ეს მუნიციპალიტეტები წარმოადგენენ ბურჟუაზიულ ოკეანეში გადაშვებულ პატარა სოციალისტურ ნავებს და მათი მეურნეობის მნიშვნელობა მეტად მცირეა. მთელი სახელმწიფოს მეურნეობა კი მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შეგნებულად სოციალიზმისაკენ მიმართული, დანარჩენ ქვეყნებში კი მთელი მეურნეობა ბურჟუაზიული სტიქიის ხელშია, რომელიც ბუნებრივად ეწინააღმდეგება ახალი სოციალისტური მეურნეობის სისტემას, ხოლო, მისი ხელმძღვანელები, ბურჟუაზიის იდეოლოგები, შეგნებულად ცდილობენ ჩვენი პროლეტარული მეურნეობის დამარცხებას და ხელს უწყობენ ამ ცდის ხიფათით დამთავრებას.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას უცხოეთის კაპიტალის თავდაჭერილობა საბჭოთა კავშირში კონცესიების აღებისა და აგრეთვე სესხის მოცემის საქმეშიაც, თუმცა მისთვის საბჭოთა ბაზარი საჭიროცაა და ხელსაყრელიც. მართალია ადრე თუ გვიან, ეს ყინული უნდა გალხვეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთია ერთი პირობათაგანი ჩვენი მეურნეობის განვითარებისა.

არა ნაკლებ მძიმე ტვირთად აწევს ჩვენს მეურნეობას ის ჩამორჩენილობა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ეს არის ძველი რეჟიმისაგან მიღებული მემკვიდრეობა. თვითმპყრობელობა მხოლოდ იმდენად ურიგდებოდა ძველი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მობინადრე ხალხების კულტურულ წინსვლას, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო მისი მეურნეობისათვის, რამდენადაც სავსებით ველურ და უკულტურო კაცს ვერ მიუშვებდა მანქანებთან, ვერ ამუშავებდა თავის ბიუროკრატიულ აპარატში. ჩამორჩენილი იყო საზოგადოდ რუსეთის მეურნეობა, მისი მრეწველობა, მისი ტეხნიკა და რა თქმა უნდა მუშაც და ტეხნიკოსებიც ვერ აცილდებოდნენ ამ ჩამორჩენილობას.

ასეთი იყო მდგომარეობა ომის წინ; ხოლო საერთაშორისო და სამოქალაქო ომებმა კიდევ უფრო გააღრმავეს ეს ჩამორჩენილობა, რადგან რამდენიმე წლით შეაჩერეს მეურნეობის წინსვლა. გარდა ამისა, ამავე ომებმა თითქმის სავსებით გაანადგურეს ის დაგროვილი დოვლათი, რომელიც ნორმალურ პირობებში ყოველ მეურნეობას აქვს.

კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. კრჟიჟანოვსკის ანგარიშით, ზემოხსენებული ომები 1914—20 წ. წ.) საბჭოთა კავშირის მეურნეობას დაუჯდა 405 მილიონი წელი ნაყოფიერი შრომისა, რაც უბრალო ენით გამოთქმული ნიშნავს, რომ ამ ზარალის აღდგენაზე მოუნდება მთელი კავშირის მოსახლეობის შვიდი წლის შრომის ნაყოფი. მისივე ანგარიშით რუსეთის ერებს მსოფლიო ომი დაუჯდომია 40 მილიარდი მანეთი, ხოლო სამოქალაქო ომი და ბლოკადა 50 მილიარდი მანეთი. ეს მხოლოდ შრომის გაცდენით მიღებული ზარალია. ამ ციფრებში არ შედის არც პირდაპირ ომზე გაწეული ხარჯები; არც განადგურების საშუალებათა წარმოება;

არც ომით ანუ სამხედრო მოქმედებით გამოწვეული ნაგებობათა დანგრევა და სხვ. (იხ. შესავალი, 10 лет строительства СССР.). ადვილი წარმოსადგენია; თუ რა მდგომარეობაში იქნებოდა იგი.

და აი, აქედან ასე ვთქვათ ამ მეტად შერყეულ თანხებით დაიწყო ჩვენმა პროლეტარიატმა სახალხო მეურნეობის აღდგენა და მისი სოციალისტურ რელსებზე გადაყვანა. უნდა ვთქვათ, რომ ეს მდგომარეობა მეტად დაშორებულია იმ სურათიდან, რომლის წარმოდგენასაც მიჩვეული ვიყავით იმ თავიდან. ჩვენი ძველი წარმოდგენით, გამარჯვებული პროლეტარიატის ხელში უნდა გადმოსულიყო ბურჟუაზიული კლასების მიერ დაგროვილი დიდი დოვლათი. ეს ერთი.

მეორე, იმავე ძველი წარმოდგენით, თვით პროლეტარიატი გამარჯვების და დიქტატურის ხელში აღების მომენტს ტეხნიკურად უმაღლესად განსწავლული და ორგანიზაციულად შეკავშირებული უნდა დახვედროდა. მას სავსებით უნდა გამოეყენებია ტეხნიკური პერსონალიც, რომელიც ყოველ შემთხვევაში მისი მოწინააღმდეგე მაინც არ უნდა ყოფილიყო.

არც ეს მეორე პირობა დაყვა რუსეთის პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების მოპოებას. პირიქით, ჩვენი მრეწველობა განუვითარებელი იყო ომის წინა დროსაც. თვით პროლეტარიატი შედარებით მთელ მოსახლეობასთან მცირერიცხოვანი, ხოლო საწარმოო დისციპლინა ომის დროის პირობების ზეგავლენით მეტად შერყეული, ტეხნიკური და არა ტეხნიკური ინტელიგენცია მტრულად განწყობილი და პირდაპირ საბოტაჟის მაწარმოებელი და სხვ. ასეთ პირობებში საქმის მოვლა-პატრონობა მეტად მძიმე იქნებოდა, მით უმეტეს, რომ თვით ხელმძღვანელი ელემენტები, რევოლიუციის აქტივი, უფრო პოლიტიკურ ბრძოლას იყო შეჩვეული, ვიდრე სამეურნეო საქმის წარმოებას. მაგრამ მან მაინც გაბედა სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეს შესდგომოდა, რადგან უამისოდ ძალა-უფლების ხელში აღება უშედეგოდ დარჩებოდა, დიახ, მან მოიპოვა სათანადო გამბედაობა და 5—6 წლის განმავლობაში ისეთი მიღწევები მიიღო, რომ ყველა დაკვირვებული მკვლევარი განცვიფრებაში მოჰყავს მაგრამ ეს მიღწევები არ მოუპოვებია მას შეცდომების დაუშვებლად. ასეთს შეცდომებს დღესაც აქვს ადგილი და ყოველი მათგანი მეტად ძვირად უჯდება სახალხო მეურნეობას. ამიტომ გადმოისროლეს ხელმძღვანელმა ორგანოებმა თვითკრიტიკისა და კრიტიკის ლოზუნგი. ეს ლოზუნგი მეტად დიდი მნიშვნელობისაა; მისი გატარება ისევე აუცილებელია, როგორც მცენარისათვის მზის სითბო და დღის სინათლე. უამისოდ როგორც სამართლიანად აღნიშნა საბჭოთა პრესამ, დიქტატურის პირობებში შეიძლება ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს, რომელიც დიდად დააბრკოლებს მეურნეობის განვითარების საქმეს.

საით უნდა იქნეს მიმართული ეს კრიტიკა? ყველა იმათ წინააღმდეგ, ყველა იმათ სასარგებლოდ, ვინც ამ ფრონტზე მუშაობს, განურჩევლად მათი პოლიტიკური მრწამსისა, ადგილისა და მდგომარეობისა.

სინამდვილეც და აღებული ხაზიც სწორედ ამას მოწმობს. იშვიათია ამ უკანასკნელ დროს ისეთი დღე, თუ არა, კვირა მაინც, რომ თვითკრიტიკამ კავშირის რომელიმე კუთხეში არ აღმოაჩინოს რამე ბოროტმოქმედება, დაუდევრობა, სახაზინო ქონების მიმართ უმართებლო და უკანონო მოპყრობა და სხვა. მოსალოდნელია, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები შეეცდებიან ამ ფაქტებით ისარგებლონ მის წინააღმდეგ, მისი აპარატის უვარგისობის დასამტკიცებლად. მაგრამ ეს არ აშინებს საბჭოთა ხელისუფლებას და ის კიდევ უფრო მტკიცედ განაგრძობს თავისი გზით სვლას.

ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა სისტემა საკმაოდ განმტკიცებულია და მას არ აშინებს მავნე ელემენტების გამჟღავნება, გაქექვა, და მათი თავიდან მოშორება, როგორც ხორცმეტისა, საიდანაც არ უნდა იყოს იგი გამოსული. ეს არის საუკეთესო თავდები, როგორც სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა, ისე საბოლოო გამარჯვებისა.

ვინ უნდა აწარმოოს ეს კრიტიკა? თვით მუშებმა, თვით პარტიის წევრებმა, მისმა მასამ. ასეთია სრულიად სამართლიანი და მიზანშეწონილი დირექტივა.

მართლაც ვის უფრო შესტკივა გული იმ დეფექტების გამო, რომელთაც ადგილი აქვთ საბჭოთა მეურნეობაში, ვის უფრო შეუძლია მათი დანახვა, ან ვინ მოეპყრობა ყველაზე ფრთხილად სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში მომუშავეთ? რასაკვირველია იგივე მუშა, რომელსაც ისტორიამ დააკისრა ამ დიდი საქმის—სოციალიზმის განხორციელება. კეთდება თუ ფუჭდება რაიმე, ორივე მუშის, პროლეტარიატის ხარჯზე ხდება და რასაკვირველია, მანვე უნდა მოუაროს ამ საქმესაც.

ამიტომ თვითკრიტიკის გატარებისათვის მოწვეული პროლეტარიატი სრულის შეგნებით, პროლეტარული სიმტკიცით და თან დიდი სიფრთხილით და დაზოგვით უნდა შეუდგეს თვითკრიტიკის გატარებას.

# ეპოქის მახილი

უკვე არც ერთ სერიოზულ მოაზროვნეს აღარ სჯერავს წინეთ ყალბათ შემუშავებული აზრი, რომ ოქტომბრის რევოლიუცია უზარმაზარ რუსეთის სხეულზე წარმოებულ ექსპერიმენტალურ ცდების დასაწყისს წარმოადგენდა. ამჟამად ყველას სასაცილოთ მოეჩვენება მტკიცება, რომ ვ. ლენინმა თავის „გენიალურ უტოპის" სარეალიზაციოთ, რუსეთი გამოიყენა საცდელ მინდვრათ.

ასე შეიძლებოდა მსჯელობა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ნათლად წარმოდგენილი და შეცნობილი ახალი ეპოქის აუცილებლობა; მაშინ, როდესაც არ იყო შეთვისებული, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ტკივილები, ახალი ეპოქის სამშობიარო ტკივილებს წარმოადგენდენ. ასეთი მსჯელობა არ ახასიათებდა „თავზედ ხელ აღებულ" ბოლშევიკებს, რომელთა „სიგიჟემ" მთელი მსოფლიო შეარყია; არ ახასიათებდათ იმიტომ, რომ ეპოქის მაჯისცემის გამომხატველები იყვნენ. ისტორიის შეუდარებელ დიაგნოსტ ვ. ლენინის რეცეპტით, ბოლშევიკურმა პარტიამ საწამლავი გადააყლაპვინა ძველ სამყაროს, — დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და ძველის ნგრევაში გასაოცარი სიბეჯითე გამოიჩინა. იჩეხებოდა ძველი სამყაროს ულრანი ტყე და სცვივოდა ნაფოტი. ეს გრანდიოზული ნგრევა - ჩეხვა, სენტიმენტალურად განწყობილ პოლიტიკოსებს, ბარბაროსულ აქტათ წარმოედგინათ და „სოციალისტურ სინიდისის" კარნახით ცეცხლითა და მახვილით სთრგუნავდენ ახალი ცხოვრების ჩანასახებს.

1921 წლამდე. რუსეთის ყოფილ იმპერიის ყოველი ჯურის სოციალისტი, ესერიდგან დაწყებული და მენშევიკით გათავებული, იარაღით ხელში ებრძოდა ბოლშევიზმს, ძველ შავ-ბნელ რეაქციის წარმომადგენლებთან ერთად. ეს იყო სანიკვდილოთ განწირულ შავრაზმელთა და წითელ ფერებით შელამაზებულ ფილისტერთა მჭიდრო კავშირი; ეს იყო ძველი ისტორიის წარმომადგენელთა ბრძოლა ახალი ისტორიის მიმართ. ეს წარმოადგენდა იმ ეპოქის ჩაქოლვის ცდას, რომელიც ახალ გვერდით გადაიშალა ოქტომბრის რევოლიუციის მიერ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ამ საისტორიო ბრძოლის პირველი ეტაპი საბოლოოთ დასრულდა 1924 წელს, საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ორგანიზაციულად დარაზმულ ძალთა სამხედრო განადგურებით. ეს ეტაპი დასრულდა საქართველოში გაბატონებულ მენშევიკურ ხელისუფლების დამარცხებით.

მაგრამ ეს იყო შიგნით წარმოებულ შეიარაღებულ შეტაკებათა ლიკვიდაცია. ეს იყო იმ ბრძოლის დასრულება, რომელიც ევროპის კაპიტალისტების ფინანსიურ - ტეხნიკურ დახმარებით სწარმოებდა, გეგმიანად წარმოებულ სამხედრო შეჯახებათა სახით.

1921 წლიდან, შინაგან კონტრ - რევოლიუციონურ აჯანყებათა ლიკვიდაციით, საბჭ. კავშირში დაიწყო მშვიდობიანი მშენებლობითი საქმიანობა და ამ საქმიანობამ, გიგანტიურად წარმოებულმა ეკონომიურმა აღორძინებამ არა თუ აღძრა სურვილები, არამედ საბოლოოთ დაარწმუნა რევოლიუციონურად მოაზროვნე ელემენტები, რომ საბჭოთა კავშირში აშენდება სოციალიზმი. ამით საბოლოოთ გამოირკვა, რომ ოქტომბრის შედეგად საქმე გვქონდა არა ისტორიულ ექსპერიმენტებთან, არამედ ისტორიულ აუცილებლობით გამოწვეულ, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობის ჩამოყალიბების პროცესებთან. ეს იგრძნო მტერმა და მან განიძრახა ჩვენი აფეთქება. მან იმედი დაკარგა ბოლშევიზმის გადაგვარების შესაძლებლობაში და განიზრახა ეკონომიურ საფუძვლების შერყევით სამეურნეო კატასტროფების გამოწვევა. კაპიტალისტური სამყარო ფინანსიურად აძლიერებდა მავნებელთა და ამფეთქებელთა საქმიანობას და შედეგად მივიღეთ შახტის კონტრ-რევოლიუციის გამოაშკარავება. პროლეტარულ - სახელმწიფოებრივ გამჭრიახობას არ გამოეპარა იმ თხუნელას მუშაობაც კი, რომელიც ასე ენერგიულად უთხრიდა ძირს ჩვენს სახალხო მეურნეობის სიმტკიცეს. შახტის კონტრ-რევოლიუციამ გამოააშკარავა, რომ ბრძოლა სწარმოებს მშვიდობიან ლეგალურ საშუალებებით და თვით საბჭოთა ორგანოების სახელით.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერთა ბუდის ლიკვიდაციით დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს ბოლშევიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლის მეორე ეტაპი. შახტის კონტრ - რევოლიუციონურ საქმიანობის შესწავლა გარანტიას იძლევა, რომ მომავალში ასეთ რაიმეს განმეორება შეუძლებელია, მაგრამ რომ ეს შეუძლებელი შეიქნეს, საჭირო არის მასების ფართე კონტროლი. ამ ფართე კონტროლის სისუსტეს უნდა მიეწეროს ჩვენი მუშაობის მრავალი სუსტი მხარეები.

უკვე აშკარა არის, რომ შახტის რაიონში განზრახულმა კონტრ-რევოლიუციამ მიუხედავათ თავის ინტენსიურ მავნებლობისა, მაინც ვერ შეარყია ჩვენი სამეურნეო მდგომარეობა; აშკარა არის, რომ იმ დეფექტების გამოსწორებით, რომელსაც შახტის კონტრ - რევოლიუციამდე მიუყვანა შეუძლია, სასწაულებს მივაღწევთ. მსგავსი რაიმე არ უნდა განმეორდეს და არც განმეორდება. არ არ განმეორდება, ვიმეორებთ იმ შემთხვევაში, თუ მასების ფართე კონტროლი ძირშივე აღმოფხვრის მისი რეციდივის შესაძლებლობას.

საკავშირო კომპარტიის ცეკამ, ახალ ცხოვრების მშენებლობის მებაირახტრემ, ასე გამოსთქვა ეს საჭირბოროტო საკითხი თავის მოწოდებაში: „ცეკა აცხადებს, რომ რეკონსტრუქტიულ პერიოდის ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელია მასების ფრიად გაბედულ, ფრიად გადამწყვეტ და ფრიად თანმიმდევრობით ჩაბმის გარეშე, სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში; შეუძლებელია ეს ამ მილიონიან მასების მხრით მთელი აპარატის გსინჯვის, კონტროლის და უვარგის ელემენტებისაგან გაწმენდის გარეშე“.

ეს ნიშნავს შეცდომების კრიტიკის არა ჩვეულებრივ თავისუფლებას. ეს ნიშნავს არა პრინციპიალურად სამტრო კრიტიკის თავისუფლებას, არამედ ისეთ კრიტიკის თავისუფლებას, რომელსაც აღმშენებლობითი ხასიათი აქვს.

კრიტიკის უფლება აქვს იმას, ვინც გულწრფელად სდგას სოციალურ რევოლიუციის ნიადაგზე და ვინც საბოლოოთ იწამა სოციალისტური მშენებლობის აუცილებლობა ჩვენში. ამ ნიადაგიდან დაცილებული კრიტიკა მტრის კრიტიკა იქნება და ასეთ კრიტიკას სათანადო პასუხით შეხვდება ფართე მასები.

მუშათა, გლეხთა და მშრომელ ინტელიგენციის ფართე მასებს ეძლევათ უჩვეულოთ თავისუფალ კრიტიკის წარმოების საშუალება. უჩვეულო არის ასეთი თავისუფლება იქ, სადაც დემოკრატია „აყვავებულია და სრულიად ჩვეულებრივ სადღეისო ლოზუნგად გახდა ის პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში.

კრიტიკის წარმოების წინ, თითეულმა პიროვნებამ ნათლად უნდა დაუსვას თავის თავს საკითხი: არის თუ არა ის კრიტიკის წარმოების ღირსი? სანამ ამ კითხვაზე არ უპასუხებს ის, მანამ თავი უნდა შეიკავოს კრიტიკისაგან, ვინაიდან მის კრიტიკას არ ექნება მიზნობრივი გამართულობა. კრიტიკის წარმოება შეუძლია იმას, ვისაც კონკრეტიული მიზანი აქვს და ვინც ამ მიზნის პრიზმაში სჭვრეტს ჩვენი სამეურნეო მშენებლობის საკითხებს. ვინც მტრულ განწყობილებაში არის ამ მშენებლობასთან, მისი კრიტიკა—მტრის კრიტიკა არის და მას არ უნდა მიეცეს გასაქანი.

ჩვენი დეფექტების გამოსწორებას ესაჭიროება მოყვრის თვალი, ე. ი. იმ მშრომელთა კრიტიკული მიდგომა, რომელიც ჩვენს აღმშენებლობას თავის საზოგადოებრივ მიზნათ და საქმეთ სთვლის. ძნელია ამ პირობებში არჩევანის დაყენება და ნეიტრალური ხაზის აღება. არც მტერი და არც მოყვარე — ეს არ არის გამოკვეთილი სახის ფორმულა. მოაზროვნე ადამიანმა, რომელმაც 11 რევოლიუციური წელი განვლო, არ შეიძლება შუაზე გაიჩხიროს. ის შეიძლება არ იქნეს მოყვარე აქტიურად, მაგრამ „სამოყვრო სიმპატიით“ გამსჭვალული კი იყოს; ეს საკმარისი პირობა არის, რომ ის ახალ ეპოქისათვის მებრძოლთა რიგებში ვიგულისხმოთ. ვისაც ნეიტრალიტეტი სხვაფრივ ესმის, მისთვის ჩვენი ისტორიის ჩარხის ტრიალი „ანტიპატიის“ მომგვრელია და შეიძლება არ იბრძოდეს „გამასიურების“ გამო, მაგრამმისი გამოყენება სამავნებლო საქმინობაში ადვილი რაიმე არის. ასეთი „ეიდიეიო“ ელემენტი საბრალმდებლო სკამზე მისვლისას აცხადებს, რომ მავნებელთა ბრმა იარაღათ გადაიქცა. თავის თავად ცხადია, რომ ეს ასე უნდა მოხდეს. ვინც მტრულად უცქერის ჩვენ სამეურნეო აღორძინებას, ის ფარული მავნებელია, მხოლოდ, ვინც „ნეიტრალობას“ ფიცავს, ის სამავნებლო საქმიანობაში ადვილათ გამოსაყენებელი მასალა არის.

არჩევანის დროს მხოლოდ ამგვარად დაისმის საკითხი, საბჭოთა მოქალაქეს მოეთხოვება გარკვეული სახე, და ამ სახის გამოაშკარავება არც ისე ძნელი საქმეა. ფართე მასიური კრიტიკა ყველას ახდის ფარდას, ის მოახდენს დახარისხებას და სოციალისტურ მშენებლობისათვის შეარჩევს სანდო - საიმედო მონაწილეებს. ვინც ძლიერი იქნება ამ ბრძოლაში, როგორც იდეიურ მიდრეკილებით, ისე საქმიანობით, ის მოყვება საზოგადოებრივ შერჩევაში. ამით გაიწმინდება ჩვენი ორგანოები უვარგის ელემენტებისაგან.

ასეთი შერჩევის დრო უკვე დადგა და საკავშირო კომპარტიის მიერ წამოსროლილი ლოზუნგი თვითკრიტიკის გაძლიერების შესახებ, სერიოზულ ამოცანათ იჭრება ჩვენს წინაშე.

ამიტომ ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს დაკვრითი ამოცანა ყოველდღიურ საქმიანობის გეგმაში ვიქონიოთ.

თვითკრიტიკის ასეთი სახით გაშლა, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ - ეკონომიურ ძლიერების მძლავრი დემონსტრაციაა.

კაპიტალისტურმა ქვეყნებმა კარგად იციან, რომ ბოლშევიკური ციხის გატეხა შიგნიდან არის შესაძლებელი. შახტის რაიონში ამ მხრით სამზადისში დიდ შედეგებსაც მიაღწიეს, მაგრამ ციხის გატეხა მაინც ვერ მოხერხდა. კაპიტალისტური სამყარო არც მომავალში აიღებს ხელს ჩვენი აფეთქების ცდაზე. ფართე მასების კონტროლმა და კრიტიკამ სამეურნეო მშენებლობის, ყოველ კუნჭულში უნდა შეიჭრას და მშრალზე გამოიყვანოს ყველა ის ელემენტები, რომლებიც ბოლშევიკურ ციხე-სიმაგრის შიგნიდგან გატეხის პირობებს ამზადებენ. დღის წეს-

რიგში სდგას მაშასადამე მტრების გამოაშკარავება. სრულიად არ იქნება მოულოდნელი, რომ მტრის სახით რომელიმე „მოყვარე“ გამოაშკარავდეს. თვითკრიტიკასაც ეს აქვს დასახული უმთავრეს მიზნათ, ვინაიდან სიტყვით „მოყვარე“ და საქმით კი (შესაძლებელია უნებლიეთაც) მტერი, ჩვენი წყობილების საშინელი ხორცმეტია, რომელიც შეუბრალებლათ უნდა მოიკვეთოს ჩვენი სოციალ-ეკონომიურ სხეულიდან.

**მტერს არ სძინავს! სიფრთხილე შიგნით!**

ასეთია სადღეისო ლოზუნგი. ასეთია ისტორიული აუცილებლობაც, ვინაიდან გარეგანი საფრთხე, რომელიც საბჭოთა კავშირს კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში მოელის, შინაგან სიმტკიცეს მოითხოვს და ეს სიმტკიცე კი უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა ფართე მასები დაინტერესებით ჩაებმებიან თვითკრიტიკასა და კონტროლში.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ ახალ ეტაპშიაც ძლევამოსილ გამარჯვებით გამოვა მებრძოლი ბოლშევიზმი.

**ზ. ჩახვაძე.**

# ევგენი გეგეჭკორი მებრძოლი მენშევიზმის თეორეტიკოსის როლში

ევგენი გეგეჭკორი იდეოლოგის როლში! ეს ერთობ უჩვეულოთ ეჩვენება ქართველ მუშებსა და გლეხებს.

ევგენი გეგეჭკორს ჩვენში ყველა იცნობს, მაგრამ არა ისე, როგორც პარტიის იდეოლოგსა და თეორეტიკოსს; ის არვის არასოდეს არ უნახავს ს.-დ. პარტიის თეორეტიკოსის როლში. სრულიად პირიქით: მას ჩვენში იცნობდენ ისეთ ადამიანად, რომელიც მუდამ თავისუფალი იყო თეორეტიკოსის პრეტენზიებიდან; იცნობდენ, როგორც ს. ს.-დ. პარტიის მეტის-მეტად მოხერხებულ წევრს,—ისეთ წევრს, რომელიც ყოველთვის ახერხებდა თავისი კაპეიკის მანეთად გასაღებას, თავისი ბამბის აჩხრიალებას იქ, სადაც სხვისი ოქროც არ ჩხრიალებდა.

ამ საქმეში კი მოქ. გეგეჭკორი იმდენად ძლიერი იყო ჩვენში, რომ მას თვითოე ნ. რამიშვილიც კი ვერაფერს აკლებდა, თუმცა ამის სურვილი კი დიდი ჰქონდა.

ყველა ჩვენგანს, ყოფილ მენშევიკებს, ალბათ, ახსოვს ამ ორი „გოლიათის“ ერთი დატაკების ისტორია, რომელშიც ნ. რამიშვილმა სასტიკი დამარცხება იგემა და გეგეჭკორის წინ ორივე მუხლებზე დაიჩოქა. ეს იყო იმ დროს, როცა დემოკრატიული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგ. გეგეჭკორი გენერალ ალექსეევთან იყო წარგზავნილი რუსეთის კონტრ-რევოლიუციისა და მენშევიკური საქართველოს შორის რევოლიუციის წინააღმდეგ პოლიტიკური კავშირის გამოსაჭედათ... ამ დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები თითქმის დათავებული იყო. ნ. რამიშვილმა ისარგებლა ამ გარემოებით და ნ. ჟორდანიას ასეთი აზრი წასჩურჩულა::

ქვეყნის დაცვის საქმე — შინაური, თუ გარეული, — სულ ერთია. ეს საქმე არ უნდა იყოს განაწილებული ორ სამინისტროს—შინაგანსა და გარეშე სამინისტროების—შორის. ქვეყნის დაცვის საქმე უნდა იყოს ერთ სამინისტროში, მას ერთი მინისტრი უნდა განაგებდესო.

ნ. ჟორდანიას ეს აზრი ძალიან მოეწონა და ის შეუდგა მის თეორეტიულად დასაბუთებას... ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ნაბიჯი იყო დარჩენილი ამ ორი სამინისტროს გაერთიანების პრაქტიკულად განხორციელებამდე... მაგრამ აქ თავისთავად წამოიჭრა კითხვა: ვინ უნდა იყოს ამ გაერთიანებული სამინისტროების ხელმძღვანელი? დღევანდელი საგარეო საქმის მინისტრი გეგეჭკორი, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი, ყოვლად ძლიერი ნ. რამიშვილი?

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ნ. რამიშვილს მისცემდა უპირატესობას; მაგრამ რა უყონ ევგენი გეგეჭკორს? სად მოუნახონ მას მისი შესაფერი ბინა?

დამფუძნებელი კრების მოწვევა დამთავრებულია. დეპუტატები უკვე ჩამოვიდენ საქართველოს დედა ქალაქში და სამუშაოთ ემზადებიან. ს.-დ. ფრაქციის პირველი საქმე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის არჩევაა. ფრაქციის სხდომაზე მოდის ნ. ჟორდანია და აცხადებს: დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ ევგენი გეგეჭკორი უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სამინისტრო კი შინაგან საქმთა სამინისტროს უნდა შევუერთდეს და ორივეს ხელმძღვანელი ნ. რამიშვილი იქნებაო. ჟორდანიამ ჩვეულებრივათ დაასაბუთა ამ ორი სამინისტროს გაერთიანების აუცილებლობა. წინადადება ერთხმად მიღებულ იქნა. გეგეჭკორი დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე იქნება.

მაგრამ თურმე ეს მას არ სურს, მისი თავმოყვარეობისთვის ეს მიუღებელია. მას უნდა ფართე პოლიტიკური არენა და არა „არქივში მუშაობა“... და დ. კრების ს.-დ. ფრაქციის მეორე სხდომაზე მოდის თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ვალიკო ჯუღელი და გვარდიის სახელით პროტესტს აცხადებს ევგენი გეგეჭკორის ასე „დამცირებისათვის“;—როგორ გაბედეთ ევგენი გეგეჭკორის არქივში გადაგდება? აქ ინტრიგების ქსელია გეგეჭკორის წინააღმდეგ გაბმული. ვიღაცეებს სურთ ცოცხალ საქმეს ჩამოაშორონ იგი და მტვერ წაყრილ არქივში მიუჩინონ ბინა...

რამიშვილი გრძნობს, რომ ჯუღელს ისა ყავს სახეში. რამიშვილიც მიმართავს მისთვის ჩვეულებრივ ხერხს: მას დემაგოგიით სურს ბრძოლის მოგება:

— როგორ თუ ბედავენ საქართველოს უზენაეს პატრონს, დამფუძნებელ კრებას, არქივი უწოდონ?—ის ჩვეულებრივად უშვებს თვალებს თავის ყურმოჭრილ მონებს, ფრაქციის წევრებს. ეს უკანასკნელებიც მზად არიან თავის ლიდერს გამოექომაგონ; მაგრამ ყველაფერი ამაოა. რამიშვილის დემაგოგიას ვალიკო ჯუღელის „შეიარაღებული მუშტი“ სულ ადვილად ამარცხებს. ჯუღელი მუშტს ურტყამს სტოლს და გვარდიის სახელით აცხადებს, რომ დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის არჩევის საქმე გადასინჯული უნდა იქნეს და ევგენი გეგეჭკორი თავის პოსტზე უნდა დარჩესო.

ასე განაცხადა ვ. ჯუღელმა და მის სურვილს წინ ვინ აღუდგებოდა?

წამოდგა ნ. ჟორდანია, რომელიც ქვეყნის თავდაცვის საქმის გაერთიანების აუცილებლობას მჭერმეტყველურად ამტკიცებდა და ახლა ისეთივე მჭერმეტყველებით მიყო ხელი წინააღმდეგის მტკიცებას: იყოს ორივე სამინისტრო. ევგენი გეგეჭკორი დარჩეს გარეშე საქმეთა მინისტრად. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ ავირჩიოთ კარლო ჩხეიძე. ის ევროპაში ჩვენი დელეგაციის მეთაურია. თუ მას ასეთ დიდ პოსტზე ავირჩევთ, ევროპაში ჩვენი დელეგაციის პრესტიჟი მოიგებსო.

ჩვენ სულაც არ გაგვკვირებია, რომ ნ. ჟორდანიამ ერთსა და იმავე საგანზე სულ რამდენიმე ათეული საათის განმავლობაში შეიცვალა აზრი და, რაც გუშინ დაამტკიცა, ის დღეს დაარღვია. მისმა ამხანაგებმა ჩინებულად იცოდენ, რომ ნ. ჟორდანიასთვის ეს ჩვეულებრივი საქმე იყო...

გეგეჭკორი დარჩა თავის ძველ პოსტზე, კარლო ჩხეიძე კი არჩეული იქნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ.

ასე დაამარცხა მენშევიკურ საქართველოში ყოვლის შემძლებელი რამიშვილი მასთან შედარებით ერთობ სუსტმა, მაგრამ იმავე დროს მოხერხებულმა კომბინატორმა გეგეჭკორმა, რომელმაც თავის მხსნელ ჯუღელს მით გადაუხადა ასეთი დიდი ვალი, რომ დაუწერა მისი სიტყვის წინასიტყვაობა, რომელშიც ჯუღელი

ცამდე აიყვანა. რა ვუყოთ, რომ ამ წინასიტყვაობისთვის ტროცკიმ კარგათ გაწკეპლა მოქ. გეგეჭკორი. სამაგიეროთ მისთვის უფრო საინტერესო და საიმედო იყო ჯუღელის შეიარაღებული მუშტი და გეგეჭკორიც მას უკმევდა.

ასეთ „მოხერხებულ" კაცათ ვცნობდით დღემდე ევგენი გეგეჭკორს. მაგრამ დღეს იგი სრულიად ახალ, მისთვის უჩვეულო როლში გვევლინება. დღეს ისიც მებრძოლი მენშევიზმის თეორეტიკოსად გამოდის და ჟორდანია-რამიშვილის პოზიციების გამაგრებას ცდილობს. არ ვიცით რითი ავხსნათ გეგეჭკორის ამ ახალ როლში გამოსვლა: მითი, რომ ჟორდანიას ბედაურები დაიხოცენ და მოედანი ევგენის დარჩა, თუ მითი, რომ ევგენიმ უკუაგდო თავისი ჩვეულებრივი პოზიორობა და მარქსის შესწავლას მიყო ხელი. იმ ამხანაგებს, რომლებიც ევგენ გეგეჭკორს მთელი მისი სიგრძე-სიგანითა და ავლა-დიდებით კარგად იცნობდენ, პირველი აზრი უფრო სიმართლესთან დაახლოვებულად მიაჩნიათ: ჟორდანიას ბედაურები დაიხოცენ და მოედანზე ევგენის გამოშვებაც საჭირო შეიქნა. მაგრამ ამის გამოკვლევა მივანდოთ მომავალ ისტორიკოსებს და ჩვენ დახლოებით მაინც გავაცნოთ მკითხველს ევგენი გეგეჭკორი ამ ახალ როლში.

საქმე შემდეგშია:

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში პარიზში მყოფი რუსი ს.-დ. პარტიის ემიგრაციის ლიდერმა „სოციალისტური ვესტნიკის" რედაქტორმა დანმა წაიკითხა რეფერატი, რომლის საგანი იყო კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა წყობილების შესახებ მსჯელობა. დანს თავის რეფერატში ახალი არაფერი უთქვია, მან თქვა მხოლოდ ის, რასაც დიდი ხანია ლაპარაკობენ აბრამოვიჩი და ირ. წერეთელი, რომლების აზრს კომუნისტების შესახებ კარგათ იცნობენ „ახალი გზის" მკითხველები.

მაგრამ დანმა საბჭოთა კავშირზე მისი კოლეგების მიერ გამოთქმულ აზრებს ერთგვარი სინტეზი გაუკეთა და ასეთ ფორმულაში ჩამოაყალიბა:

**„რევოლიუციის წინაალმდეგ რევოლიუცია—კონტრ რევოლიუციაა...„**

ჩვენ შეურიგებელი მტრები ვართ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა წყობილებისა,—განაცხადა დანმა, მაგრამ ეს წყობილება რევოლიუციის ღვიძლი შვილია. საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ არ დასრულებულა რევოლიუცია, იქ ჯერ კიდევ სწარმოებს პოლიტიკური დუღილი. საბჭოთა კავშირს მთელი მსოფლიო იმპერიალისტები სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძვიან, ჩვენც რომ ამ ბრძოლაში იმპერიალისტებს მივემხროთ და ეფისკოპოს ევლოგის მოუდგეთ გვერდში, ჩვენ სოციალისტები კი არ ვიქნებით, არამედ ევლოგის ამხანაგები და კონტრ - რევოლიუციონერები ვიქნებით.

ასე დაახასიათა დანმა თავისი პარტიის დამოკიდებულება იმ ბრძოლისადმი, რომელსაც იმპერიალისტები აწარმოებენ დღეს საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ და განაცხადა, რომ ჩვენ კომუნისტებს უნდა ვებრძოლოთ დემოკრატიის დარაზმვისა და მასში აგიტაცია - პროპაგანდის გაჩაღების გზით.

ერთი სიტყვით, დანმა გაიმეორა კომუნისტებთან ბრძოლის იმ ტაქტიკის საჭიროება, რომელზეც ლაპარაკობდენ ამბრამოვიჩი და წერეთელი და, რომელსაც კარგათ იცნობენ ჩვენი მკითხველები.

ეტყობა, დანის მოხსენებამ ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მებრძოლი მენშევიზმის იდეოლოგი ნ. ჟორდანია, რომელმაც, უნდა ვიფიქროთ, უკვე ამოსწურა მთელი თავისი არგუმენტაცია იმის დასამტკიცებლად, რომ კომუნისტების წინაალმდეგ ბრძოლაში რომის პაპასთან და კენტბერის არქიეპისკოპოსთან (მაშასადამე რუსის შავრაზმელ ევლოგისთანაც) დამეგობრება ხელსაყრელი საქმეაო... და ბრძოლის ველზე „ახალი ძალა"; ევგენი გეგეჭკორი გამოუშვა.

მებრძოლი მენშევიკების ძალზე შეთხელებული ლაშქრის ახალმა მთავარ სარდალმა მედგრად მიიტანა იერიში დანზე და მის ამხანაგებზე და კომუნისტურ პრტიას სხვათა შორის ასეთი ბრალდება წამოუყენა:

„მან (კომუნისტურმა პარტიამ) დაამყარა ჯერ ისტორიაში არ ნახული სოციალიზმი, — დესპოტია და მით დიდი ხნით **ჩამოაშორა პროლეტარიატს მისი თანამგზავრები, რომლებიც წარმოადგენდენ დემოკრატიის ლაშქარს**". (ხაზი ჩვენია. ყ.).

საცოდავია ლაშქარი, რომელსაც ასეთი მთავარსარდალი ჰყავს, საცოდავია პარტია, რომელსაც ასეთი თეორეტიკოსი ხელმძღვანელობს!

ევგენი გეგეჭკორი, ეს ახალმოდის მარქსისტი, კომუნისტებს ბრალდებათ უყენებს მას, რომ მებრძოლი პროლეტარიატი დახვეწილია, რომ ის განთავისუფლებულა იმ ბალასტისა და ნალექისაგან, რომელიც მას მიეტმასნა რევოლიუციის პირველ პერიოდში თვითმპყრობელობით ყველა უკმაყოფილო ელემენტების სახით. ევგენი გეგეჭკორმა, რომელიც ასე გაბედულად გამოდის თეორეტიკოსის და ისიც მარქსისტი თეორეტიკოსის როლში, ისიც არ იცის, რომ მებრძოლ პროლეტარიატს ეს „მისი თანამგზავრები", რომლებიც რევოლიუციის პირველ დღეებში მართლაც „წარმოადგენდენ პროლეტარიატის ლაშქარს", რევოლიუციის მეორე დღეს ბუნებრივად უნდა ჩამოშორებოდენ მას და თავთავის კლასების წიაღში მოენახათ თავისი შესაფერი ადგილი. ეს ასე უნდა მომხდარიყო და კიდეც მოხდა. ეს იცის, ეს უნდა იცოდეს ყველა მარქსისტმა. ამის ცოდნა კიდევ უფრო სავალდებულოა იმ მარქსისტისთვის, რომელიც პუბლიცისტის როლში გამოდის. ეს არ იცის მხოლოდ მოქ. გეგეჭკორმა, რომელიც ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავს თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციებს შორის. მას ასე წარმოუდგენია, რომ თუ კომუნისტებს მოენდომებიათ, ისინი უეჭველად ბოლომდე შეირჩენდენ იმ „თანამგზავრებს", რომლებიც რევოლიუციის დაწყებისთანავე მოიტივტივეს რევოლიუციის ტალღებმა...

რა მოხდა თებერვალში?

დაეცა თვითმპყრობელობა და საზოგადოების ყველა ის ელემენტები, რომლებსაც მაჯლაჯუნასავით აწვა თავზე ეს შავ-ბნელი რეჟიმი, ამოძრავდენ: ზოგმა იარაღი აიღო ხელში და მებრძოლ პროლეტარიატს გულწრფელად მიემხრო, ზოგიც მებრძოლებს ტაშს უკრავდა, თანაგრძნობას უცხადებდა და ამხნევებდა. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ ყველა ეს ელემენტები სამუდამოთ შეუერთდენ და შეუსხეულდენ ერთმანეთს, რომ მათი ინტერესები გაერთიანდენ. ორთავე არწივის წინაალმდეგ ყველა უკმაყოფილო ელემენტები იბრძოდენ. მაგრამ მას შემდეგ, როცა მტერი სამუდამოთ დამარცხდა, თავისთავად დაიბადა კითხვა: ვის ხელში უნდა იქნეს ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე? ვინ უნდა იქნეს გეგემონი და დიქტატორი?

აი სწორეთ ამ დროს ყველა იმათაც კი, რომელთაც არავითარი ან თითქმის არავითარი, წილი არ ედოთ ბრძოლის მოგების საქმეში, მოინდომეს ქვეყნის ხელმძღვანელის როლის მისაკუთრება. როგორც დავინახეთ, მენშევიკები და ესერები ამაზე დასთანხმდენ. მათ პროლეტარიატის სისხლით მოპოვებული გამარჯვება ბურჟუაზიულ - რევოლიუციათ ალიარეს და ქვეყნის ბატონპატრონობა მას ჩააბარეს... აი სწორეთ აქ დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა პროლეტარიატსა და მის ყოფილ „თანამგზავრებს" შორის. აი ამ ბრძოლას ჰქვია **ოქტომბრის დიდი რევოლიუცია, სოციალისტური რევოლიუცია**, რომელმაც პროლეტარიატს ჩააბარა დიქტატორის კვერთხი.

მოქ. გეგეჭკორი კი გამოსულა და კომუნისტებს საბრალმდებლო ოქმს უყენებს: თანამგზავრები რატომ ჩა-

მოიმოიე, მენშევიკებისა და ესერების თებერვალში ნაცადი ექსპერიმენტის სიდიადე რატომ არ იწამეო?.

აქედან აშკარაა, რომ ევგენი გეგეჭკორი კომუნისტებს იმაში ამტყუნებს, რომ მიწინააღმდეგეებს რატომ მოერია, რატომ მას კისერი არ მიუშვირე და გამარჯვება არ არგუნეო.

ეს რომ ასეა, რომ ევგენი გეგეჭკორის ფილოსოფიიდან მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დასკვნა გამოდის, ეს იცის ყველა მარქსისტმა. ეს არ იცის მხოლოდ მოქ. გეგეჭკორმა და ის მაინც მარქსიზმის სამოსელში გამოწყობილი პარტიის იდეოლოგის როლში გამოდის.

აშის შემდეგ სრული უფლება გვაქვს მოქ. გეგეჭკორს მოვახსენოთ:

Si tacuisses, filosofus mansisses.

(რომ გაჩუმებულიყავი, ფილოსოფოსი იქნებოდი.

**უარიბი.**

# პოლიტიკური ორკვირეული

მე-2 ინტერნაციონალის ბელადები სისტემატიურ ცილისწამებას და დაბეზღებას ეწევიან რევოლიუციონური ორგანიზაციების და მისი ხელმძღვანელების მიმართ. ისინი პირველი აძლევენ საბაბს ფაშისტურ ბურჟუაზიას, რომ შეტევა დაიწყოს კომუნისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ. ერთ ასეთ პროვოკაციულ გამოსვლისათვის მათ გამოიყენეს ბელაკუნის დაპატიმრება ვენაში.

ფაშისტური უნგრეთის დიქტატორი ხორტი, რომელმაც 1919 წ. სისხლში ჩაახრჩო უნგრეთის 1 საბჭოთა რესპუბლიკა და მისი ერთგული და თავდადებული დამცველი რევოლიუციონური მუშათა კლასი, ეხლა მოწადინებულია, რომ ბელაკუნის გასამართლებით და დასჯით ახალი რეპრესიების და ტერორის წინაშე დააყენოს უნგრეთის რევოლიუციონური მოძრაობა. არც ავსტრიის მთავრობა, რომელსაც ყავს პატიმარი ბელაკუნი, შეუშლიდა მას ამაში ხელს და არ იქნებოდა წინააღმდეგი ბელაკუნის გადაცემის, მაგრამ ეს გამოიწვევდა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის პირველ პრეცენდენტს, რაც უფლებას ანიჭებს პოლიტიკურ ემიგრანტს უცხო სახელმწიფოში თავის შეფარებისას.

ამ ფორმალურ უხერხულობიდან თავის დასაღწევად ზეიპელის მთავრობას მიეშველენ მე-2 ინტერნაც. ლიდერებმა, რომლებმაც, ვითომცდა კეთილი განზრახვებით ბელაკუნისადმი, ასეთი გულუბრყვილო განცხადებით შიმართეს მას: „ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ბელაკუნის დანაშაულში, რომ ის კომინტერნის დავალებით აპირებდა პოლიტიკური გამოსვლების მოხდენას და ამ გამოსვლების ცენტრის ვენაში მოწყობას. ჩვენ არ გვაქვს სიმპატია ბელაკუნის მიმართ, რომელმაც განადგურებამდე მიიყვანა უნგრეთის მუშათა კლასი, მაგრამ მაინც არ ვიზიარებთ მისი უნგრეთის მთავრობაზე გადაცემას, რადგან ეს გამოიწვევდა ევროპაში სენსაციას, როგორც პირველი მაგალითი საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის“-ო.

მე-2 ინტერნაციონალის ამ მიმართვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საბაბი მისცა ზეიპელის მთავრობას, რომ დაეწყო ფიქრი ბელაკუნის გაცემაზე, შესდგომოდა სათანადო მოტივის შემუშავებას და „საზოგადოებრივი აზრის“ მომზადებას.

მთავრობის ოფიციოზი „რეიხსპორტი“ კიდეც შეუდგა იმის მტკიცებას, რომ ბელაკუნი არის სისხლის სამართლის დამნაშავე და არა პოლიტიკური ემიგრანტი და მისი უნგრეთში გასამართლება მიაჩნია მას არა თუ დაურღვევად საერთაშორისო ვალდებულების, არამედ აუცილებელ ზომად კულტურული ევროპის დასაცავად.

—:—

ანტი - საბჭოთა გამოსვლებმა პოლონეთში ერთობ ფართო ხასიათი მიიღო. არ შეიძლება, რომ ეს ხდებოდეს ოფიციალური წრეების სურვილის წინააღმდეგ. მასში აშკარად სჩანს პოლონეთის მთავრობის თანხმობა და ინგლისის შუბლმაგართა მზაკვრული ხელიც.

ჯერ კიდევ ერთი წელი არ იყო გასული ვოიკოვის მკვლელობის შემდეგ, რომ ამ მკვლელობის ერთი მონაწილე ვოიცეხოვსკი ახალ თავდასხმას ახდენს ამხ. ლიზარევზე და საბჭოთა მთავრობის გაფრთხილება და მოთხოვნილება თეთრგვარდიელთა ტერორისტული ორგანიზ. დაშლასა და მის წევრების პოლონეთიდან გადასახლების შესახებ კიდევ შეუსრულებელია.

უკანასკნელი თავდასხმის შემდეგ, პოლონეთის მთავრობა თითქოს შეუდგა ამ ღონისძიების მიღებას, უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობის მუშაობისათვის საჭირო ელემენტარული პირობების დაცვას, მაგრამ მისი მოქმედება მეორეს მხრივ არ იძლევა საბუთს, რომ ეჭვით არ შევხედოთ მის გულწრფელობას.

თავდასხმასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ ტერორისტული ორგანიზაციის წევრების განთავისუფლება სრულიად არ ეთანხმება პოლონეთის მთავრობის პირველ დაპირებას. არც პოლონეთის ოფიციალური წარმომადგენლების ანტი-საბჭოთა განცხადებები არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილმეზობლობის განმტკიცებისათვის ხელის შემწყობათ. მაგალითად, პოლონეთ - ჩინეთის მოლაპარაკების დროს პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე პირდაპირ აცხადებს: „პოლონეთი, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს დასავლეთის სახელმწიფოს, გაერთიანებულია ჩინეთთან საბჭოთა კავშირიდან მიმავალ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო“. პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლობის მონაწილეობა პეტლიურას სიკვდილის წლის თავზე გამართულ საღამოზე ვარშავაში, 24 მაისს, თეთრგვარდიელებთან ერთად არ არის ჰარმონიაში საბჭოთა კავშირისადმი კეთილი სურვილების რწმუნებასთან. ოფიციალური პრესის ანტი-საბჭოთა კამპანია და ოხრანკის პროვოკატორების სისტემატიური მოგზავნა საელჩოში, რომლებიც არა ერთხელ გადაგზავნა საელჩომ დაპატიმრებული უკანვე ოხრანკაში, რასაკვირველია არ შეუწყობს ხელს ურთიერთობის განმტკიცებას. 31 მაისს სეიმის კომისიის სხდომაზე გაკეთებული განცხადება ზალესკის მიერ: „მე არ მჯერა მოკლე ხანში საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესაძლებლობა“-ო. კიდევ უფრო ნათელს ხდის პოლონეთის ანტი - საბჭოთა პოზიციაზე დარჩენას.

პოლონეთისათვის საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულ პოზიციაზე გაჩერება, რა თქმა უნდა, არ არის ხელსაყრელი. ამას არ მოითხოვს პოლონეთის ინტერესები, მაგრამ ეს არის უთუოდ კარნახი ინგლისის შუბლმაგართა, რომელთა ხელშიაცაა პოლონეთის ფაქტიური მმართველობა.

—:—

ევროპის ბურჟუაზიული წრეები კმაყოფილი დარჩენ გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების შედეგით, განსაკუთრებით სოც.-დემ. გამარჯვებით, უკიდურეს მემარჯვენე პარტიების ხარჯზე. გერმანიაში მემარცხენე ბურჟუაზიული მთავრობა, თავისი მერყევი კლასიური პოზიციით, პუანკარე-ჩემბერლენისათვის გაცილებით ადვილი დასამორჩილებელია თავისი გეგმების გასატარებლად, კერძოთ გერმანიის ანტი-საბჭოთა ბლოკში შესაყვანად. ამიტომაა, რომ დემონზი კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე თავისი ძველი გეგმით ეკონომიური ანტანტის შექმნის მისიის შესაძლებლად. ეს გეგმა, როგორც ვიცით, მან პირველად წამოაყენა საბჭოთა — გერმანიის ბერლინის ეკონომიური მოლაპარაკების მომენტში, სამი თვის წინედ, მაგრამ მაშინ საჭირო გახდა მისი გადანახვა, რადგან განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მე-5 სესიაზე საფრანგეთ-ინგლისის პოზიციამ და გერმანიის თვალსაზრისის საბჭოთა დელეგაციასთან დაახლოვებამ, შეუძლებელი გახადა ამ იდეის დაცვა. ეხლა კი, როდესაც დავიწყებული

ეს ამბავი და გერმანიაში ხელსაყრელი სიტუაცია შექმნილი, ისევ გამოჩნდა დე-მონზის პროექტი და კიდევ უფრო მეტი გარკვეულობით. თუ სამი თვის წინედ, პროექტი მხოლოდ ეკონომიური მოსაზრებით იყო წამოყენებული, ეკონომიური პრობლემები უნდა გადაეწყვიტა, დღეს აღარ მალავენ მის პოლიტიკურ შინაარსაც, რომ პროექტი მიზნად ისახავს გაერთიანებული ფრონტის შექმნას ევროპაში კომუნიზმთან საბრძოლველად. საფრანგეთის ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელი დე-მონზი ამ პროექტით იმდენად დაახლოვებულა პუანკარეს ანტი-საბჭოთა კურსთან, რომ იგი უკვე აღარ ფარავს თავის ზრახვებს და მუქარით აცხადებს საბჭოთა კავშირის და კომუნისტების მისამართით: „თუ თქვენ გინდათ დაიცვათ თქვენი პრინციპები, ჩვენც მოგვეცით უფლება, რომ დავიცვათ ჩვენი"-ო. გამარჯვებული მუშათა კლასი, რასაკვირველია, არ მისცემს მათ ამის უფლებას, ხოლო შესაძლებლობა ჯერ-ჯერობით კიდევ აქვთ შერჩენილი.

დე-მონზის პროექტი არსებითად არის ანტი-საბჭოთა ბლოკის ორგანიზაციის გეგმა, ერთი მხარე ინგლისის შუბლმაგართა ფართო მუშაობის ამ მიმართულებით.

—:—

ამ დღეებში ტულუზაში დასრულდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა. ყრილობის მთავარი ყურადღება ტაქტიკის საკითხებზე იყო მიქცეული, რადგან ამ მხრივ იმდენად დიდია უთანხმოება, პარტიის ლიდერებს შორის, რომ აშკარად ჩამოყალიბდა სხვადასხვა მიმდინარეობა. მემარჯვენე ჯგუფი, პოლ - ბონკურრენოდელის მეთაურობით, მომხრეა მემარჯვენე პარტიებთან თანამშრომლობის და მთავრობაში მონაწილეობის. მემარცხენეები კი წინააღმდეგი არიან ამისი და მოითხოვენ პრინციპიალურ ოპოზიციას პალატის ეხლანდელ ძალთა განწყობილებაში შექმნილ მთავრობის ყველა კომბინაციების მიმართ. მემარცხენე ჯგუფს ამით უნდა აიცილოს პოლიტიკური კაპიტულიაცია ბურჟუაზიის წინაშე და შეინარჩუნოს გავლენა მუშათა მასებში. ამავე მზნით არის წამოყენებული კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის დამოუკიდებლად, არა ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად, წარმოება, ვითომცდა კომუნიზმის და სოციალიზმის საბოლოოვო მიზნების ერთი და იგივეობის გამო.

„პრინციპიალურად" დაშორებული ორივე ფრთის გაერთიანება საბოლოვოდ არც ისე ძნელი შეიქნა ყრილობაზე, რამაც ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ სოციალისტ - რეფორმისტების სხვადასხვა ფრთებს შორის არ არის განსხვავება და მემარცხენე ფრაზეოლოგიის მიზანია მხოლოდ მასების შეცდომაში შეყვანა.

ყრილობაზე ფიქრადაც არ მოსვლიათ მემარცხენეებს პოლბონკურების გაკიცხვა მათი საჯარო გამოსვლებისათვის იმპერიალისტების შესაქებად და ერთხმად მოაწერეს ხელი მემარჯვენეების მიერ წარმოდგენილ მიმართვას პარტიის ყველა ფედერაციებისა და სექციების მიმართ, რომ უარი სთქვან კომუნისტების წინადადებებზე საერთო ფრონტის შესახებ, რა სახითაც არ უნდა იქნას იგი წამოყენებული.

—:—

27 მაისს კელნში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო კონფერენცია. კელნის კონფერენცია არის გაგრძელება ამ საზოგადოების 1 კონგრესის, რომელიც შეიკრიბა მოსკოვში ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავზე.

კონფერენციის წინაშე გადასაწყვეტი იყო ისეთი აქტუალური საერთაშორისო საკითხები, როგორიცაა: საბჭოთა კავშირის დაცვა, პროფმოძრაობის მთლიანობის განხორციელება, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; და სხვ. კონფერენციას მოუხდა მუშაობა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე, რადგან გერმანიის მთავრობამ არ სცნო შესაძლებლად მათი გერმანიაში დაშვება. გერმანიის კონსტიტუცია, რომელიც უფლებას ანიჭებს ჰინდენბურგს დაუშვას თეთრი ემიგრანტების ანტი - საბჭოთა დემონსტრაციები ბერლინში, შეუძლებლად სცნობს საბჭოთა დელეგატების მონაწილეობას ლეგალურ კონფერენციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის მთავრობამ ბევრი ეცადა კონფერენციის მუშაობისათვის ხელის შეშლას, არ მოხერხდა ეს, კონფერენციაზე მონაწილე სოც.-დემ. საჯაროდ დაგმეს მე-2 ინტერნაციონალის ბურჟუაზიული ლიბერალიზმი და შეუერთდენ კომინტერნის გზას რევოლიუციის ხელმძღვანელობისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო ყველა ქვეყნების მუშებისა და გლეხების მიმართ მოწოდება და სათანადო პრაქტიკული დირექტივები საბჭოთა კავშირის დასაცავად.

—:—

12 დღის წინედ ბერლინში შესდგა წითელ ფრონტელების აღლუმი, რომელიც წარმოადგენდა არჩევნებში გამარჯვებული ბერლინის პროლეტარიატის მებრძოლი ძალების დემონსტრაციის კაპიტალისტური წყობილების და ფაშისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

აღლუმზე რევოლიუციონურმა ბერლინმა საზეიმო ფიცი დასდო ყველა ქვეყნების პროლეტარიატის სამშობლოს — საბჭოთა კავშირის დასაცავად.

27 მაისის დემონსტრაცია — მრისხანე პასუხი იყო შინაგან საქმეთა მინისტრის კეიდელის წინადადებაზე, რომელიც ასე მონდომებულია ამ კავშირის დაშლაზე.

ამ დემონსტრაციაზე მუშათა კლასმა მოიხდინა არა მარტო თავისი ძალების ახალი გასინჯვა, არამედ გააფრთხილა ფაშისტური ბურჟუაზია, რომ მისი ბრძოლაში გმოწვევა არც ისე ადვილი საქმეა.

გერმანიის სოც.-დემ. ოფიციოზი „ფორვერტსი" რომელსაც ჰინდენბურგზე არა ნაკლებ ეჯავრება კომუნისტები აღიარებს, რომ ჩატარებული აღლუმი წარმოადგენდა მებრძოლი მუშათა კლასის ბრწყინვალე დემონსტრაცის, რომელსაც დაარქვა მან — „გერმანიის პროლეტარიატის საუკეთესო საჩუქარი კომინტერნის მე-6 კონგრესისათვის".

—:—

27 მაისს, ერთი წელი შესრულდა არკოსზე თავდასხმისა და მის შედეგად მიღებული ინგლის-საბჭოთა კავშ. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ.

ერთი წლის გამოცდილებამ საკმაოდ დაარწმუნა ინგლისის ბურჟუაზია, თუ რამდენად უმიზნო და საზარალო მისთვის გადადგმული ნაბიჯი, თუ რამდენ ზარალს ნახულობს ამით ინგლისის მრეწველობა, რომელსაც ასე ძალიან ესაჭიროება საბჭოთა კავშირის დიდი ბაზარი. „დეილი - ჰერალდი" ამ ნაბიჯის შეფასების დროს სამართლიანად აღნიშნავს: „ჩემბერლენის უაზრო და თეატრალურმა ჟესტმა არა თუ დაასუსტა საბჭოთა კავშირი, არამედ უფრო გაამაგრა იგი. ინგლისის მრეწველობაზე მიცემული შეკვეთების სხვა სახელმწიფოებში გადატანით, მან უფრო განამტკიცა მეგობრული ურთიერთობა ინგლისის მოქიშპე სახელმწიფოებთანა"-ო.

მაგრამ ინგლისის შუბლმაგრებს არ უნდათ ჩადენილი შეცდომის აღიარება. ჯოინსონ ხიქსი ისევ განაგრძობს ძველ ავანტიურისტულ გზას. იგი სისტემატიურად ახდენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციულ გამოსვლებს. ამას წინად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლებს. ამას წინედ, ლონდონში დაპატიმრებულ ირლანდიელებთან აღმოჩენილ საბჭოთა ბანკნოტებზე მან ააშენა უშველებელი პროვოკაცია. მას შემდეგ მესამე თვე გადის დ[illegible]რადგანაც ახალი საბაბი ვეღარ ნახა, ისევ დაუბრუნდა ძველ საქმეს და მასზე აშენებს ახალ სენსაციას.

ხიქსი დიდი მზადებით შეუდგა ახალი სენსაციური

ამზებით პალატაში გამოსვლის საქმეს. იგი წინასწარ აძლევს ინტერვიუს პრესის წარმომადგენლებს, რომ მალე გააცნობს პალატას იმ მასალებს, რომლებიც „ააშკარავებენ მოსკოვის დამარღვეველ მუშაობას ინგლისის ტერიტორიაზე და იმ სუბსიდიებზე, რომლებსაც ღებულობენ ეს ორგანიზაციები ინგლისში მოსკოვისაგან“-ო. ამ „ფაქტებიდან“ ხიქსის წინასწარ გამოაქვს სათანადო დასკვნა: „საბჭოთა ორგანიზაციების საბოლოოდ განდევნა დიდი ბრიტანეთიდან“.

ინგლისის შუბლმაგრები ისე დაეშვენ დაქანებულ სიბრტყეზე, რომ ველარ ახერხებენ თავის შეკავებას, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მათ მალე არ გამოეცალოს ხელიდან სახელმწიფოს ხელმძღვანელობა.

**ინფორმატორი.**

# მომავალი საზოგადოების ახალი ქალი

## V.

## არის თუ არა საჭირო ოჯახი

ერთი უდიდესი ბრალდება, რომელსაც უყენებენ სოციალიზმს ყველა ჯურის რეაქციონერები ის არის, რომ თითქოს სოციალისტები უარყოფდენ და ანგრევდენ ოჯახს. უეჭველია, ეს არის უდიდესი სააგიტაციო იარაღი მეშჩანურ წრეებში სოციალიზმის წინაღმდეგ. მეფე, სარწმუნოება, საკუთრება და ოჯახი არის ოთხი გველეშაპი, რომელზედაც დაყრდნობილი იყო ძველი წესწყობილება. მეფის ტახტი რევოლიუციამ დაამხო, საკუთრება წარმოების მთავარ იარაღებსა და საშუალებებზე გაუქმებულია, ცრუმორწმუნოება შეირყა, ოჯახშიც ხდება მთელი რევოლიუცია, ახალი კანონმდებლობა და ახალი ყოფა-ცხოვრება მასში ძალუმად იჭრება. ამნაირად ბურჟუაზიას სატირალი საკმაოდ აქვს, მისი დასაყრდენი ყველა ბოძები წაიქცა. ამიტომაც არის, რომ ის ასე გაშმაგებით ებღაუჭება ძველი დიდების ყოველ ნაშთს და ცდილობს როგორმე შეამაგროს შერყეული იდეოლოგია და დაიბრუნოს დაკარგული მდგომარეობა. ოჯახის დაქცევა ჩვენში დიდწყევლად და უბედურებათ არის აღიარებული, ალბათ სხვა ერებიც ასე უყურებენ ამ საკითხს. ეს იცის ბურჟუაზიამ. და სწორედ ამ ფსიხოლოგიის ნიადაგზე აწარმოებს ის თავის კლასობრივ სპეკულიაციას.

სოციალისტები მეფეს უარყოფენ, ღმერთის არ სცნობენ, საკუთრებას აუქმებენ, ოჯახს ანგრევენ—მაშ, ჰკა მათ!“ ასეთია რეაქციონერების ლოღიკა. სამწუხაროდ ასეთ აგიტაციას აადვილებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი სოციალისტი და კომუნისტი ვერ ერკვევა საკმაოდ ამ საკითხებში, განსაკუთრებით ოჯახის საკითხში და და თავისი არა სწორი თეორიით თუ პრაქტიკით უდიდეს დახმარებას უწევს რეაქციას.

ოჯახის საკითხის შესახებ არსებობს მდიდარი ლიტერატურა, არის სხვადასხვა თეორიები მისი წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ჩვენ აქ ვერ შეუდგებით ამ თეორიების განხილვას, ჩვენ გვაინტერესებს უმთავრესად საკითხი, არის თუ არა ოჯახი საჭირო და როგორია მისი მომავალი.

ჩვეულებრივად ოჯახი გულისხმობს შემდეგ ელემენტებს: 1) მამაკაცისა და ქალის სქესობრივი კავშირი, 2) ერთად ცხოვრება, 3) საერთო ქონება — მეურნეობა, 4) ბავშვები და მათზე ზრუნვა. ავიღოთ ისეთი ელემენტი, როგორიც არის ცოლ-ქმარის ერთად ცხოვრება, იგი საერთო მოვლენაა დღემდე არსებული ოჯახისათვის, მაგრამ ის აუცილებელი არ არის. ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრება ყოველთვის არ ხერხდება, ზოგს არც კი მიაჩნია იგი მაინცადამაინც სასურველად. დარჩება თუ არა ეს ელემენტი მომავალში? ადვილად შესაძლებელია არ დარჩეს, დღესაც ბევრია ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ერთად ცხოვრება ძირს უთხრის ნამდვილ სიყვარულს, აბეზრებს ადამიანებს ერთმანეთს, ათასგვარი ოჯახური წვრილმანი და ყოველ წუთში ერთად ყოფნა აცივებს ურთიერთობას, უკარგავს მას მიმზიდველობასა და ხალისს. ყოველივე ამაში ბევრი სიმართლეა, თუმცა არც ის არის მართალი თითქოს შორს ყოფნა უფრო ამტკიცებდეს ქალისა და მამაკაცის კავშირს; ტყვილად კი არ ამბობს ხალხური ანდაზა: „თვალიდან შორს გულიდანაც შორსო“. ან როგორც ჩაცკი ამბობდა:

Ах, тот скажи любви конец, кто на три года вдаль уедеть!..

მე პირადათ არ მესმის: თუ ადამიანი მიყვარს, რატომ არ უნდა ვიცხოვრო მასთან ერთად ერთ ჭერ ქვეშ, თუ ეს შესაძლებელია, თუ ამისათვის არ არსებობს რაიმე სერიოზული ობიექტიური დაბრკოლება.

მიყვარხარ—ამიტომ შორს ჩემგანო—ასეთი ლოღიკა ფსიქოლოგია ჩემთვის გაუგებარია, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მხრით!..

მიუხედავათ ამისა მე სიამოვნებით ვუშვებ შესაძლებლობას, როცა ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრება ცოლ-ქმარისათვის აუცილებელი არ იქნება, როცა ქალი და მამაკაცი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწევენ და ეკონომიურად ორივე სრულიად დამოუკიდებელი იქნებიან.

საერთო მეურნეობა საერთო ქონება არის აგრეთვე ოჯახის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, მაგრამ ეს ელემენტიც წარმავალია. მომავალ საზოგადოებაში, როცა სოციალიზმი განმტკიცდება, ცოლ-ქმარის საერთო მეურნეობა და საკუთრება არც საჭირო იქნება და არც შესაძლებელი.

ასევე წარმავალია ოჯახის მესამე ელემენტი—ბავშვებზე ზრუნვა: როცა სოციალისტური სახელმწიფო საკმაოდ მოღონიერდება, ის უდავოა, თავის თავზე აიღებს სავსებით ბავშვების მოვლა - პატრონობისა და აღზრდის საქმეს.

მაშ, რაღა რჩება ოჯახისაგან? საქმე ის არის, რომ ოჯახში არის მარადიული ელემენტები, რომლებსაც ვერ წაშლის დრო და ჟამი. შესაძლოა ცოლ-ქმარმა ერთადერთ ჭერ ქვეშ მომავალში არ იცხოვრონ, შესაძლოა მათ საერთო მეურნეობა — ქონება არ ექნებათ, და არც ბავშვებზე ზრუნვა დასჭირდეთ, მაგრამ ყოველივე ამას გარდა ოჯახში არის ისეთი რამ, რაც დარჩება ყოველთვის, ვიდრე კაცობრიობა არსებობს, ვიდრე საზოგადოება რ ამოწყვეტილა — ეს არის ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირი და შთამომავლობა — ბავშვები. სქესობრივი კავშირი იქნება, ბავში დაიბადება—ეს არის ოჯახის საფუძველი და ცხოვრების გარდაუვალი კანონი. როცა ორი ჯანმრთელი, უმაღლესი გონებრივი და ზნეობრივი ავლადიდების პატრონი ლამაზი არსება—ერთიმეორეს დაუახლოვდება—მე მგონი — ისინი მოისურვებენ უფრო მჭიდრო დაკავშირებას, შეიძლება ერთად ცხოვრებისაც, რომ ბედნიერება იყოს სრული, რომ კავშირი იყოს მტკიცე და არა შემთხვევითი, რომ ჰარმონია სულისა და ხორცის იყოს შეუკვეცავი...

მაშასადამე, ოჯახი ამა თუ იმ სახით ჩვენ არ აგვშორდება, ყოველ შემთხვევაში დიდი ხნით მაინც!...

მაშასადამე, დებულება, რომ მომავალში ოჯახი არ იქნებაო რც ისეთი აქსიომაა, რომ იგი დღევანდელ პირობებში სახელმძღვანელოთ გავიხადოთ...

1917 წელს რევოლიუციის შემდეგ ერთს ნაცნობს პარტიის პროგრამა გაუგზავნე ჩემს ნაცნობს იგი წაეკითხა და მომწერა: პროგრამა მინიმუმი (ასე ჰქვიოდა მას) წავიკითხე, ძლიერ მომეწონა, თუ ძმა ხარ, პროგრამა მაქ-

სიმუმი გამომიგზავნეო. სამწუხაროდ ნაცნობის თხოვნა ვერ შევასრულე: აბა, როგორ უნდა გამეგზავნა მისთვის სოციალიზმი?!.

ასევე მოდის სქესობრივ საკითხში ზოგიერთ ახალგაზრდასაც: პირდაპირ მაქსიმუმი უნდა, შუა სადგურებზე გაჩერება არ სურს...

სულ სხვაა, რა თქმა უნდა, თანამედროვე ოჯახი განსაკუთრებით ბურჟუზიულ ქვეყნებში. ფორმულა: „მემაინც ვფიქრობ, კათრაგენი უნდა დაინგრესო" მის მიმართ სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული, ძველი ბურჟუაზიული ოჯახი უნდა დაინგრეს და პირველი ქვა მას უნდ ესროლოს სწორედ ქალმა, ვინაიდან არც ერთი მხარე თანამედროვე ოჯახისა დამაკმაყოფილებელი არ არის. იგი წარმოადგენს დღეს ბატონყმურ უჯრედს, სადაც „კომანდარმი" მამაკაცი დათარეშობს, როგორც მას უნდა. ოჯახის მთელი ქონება და შემოსავალი მის ხელშია, იგია „ზავხოზი" და ხაზინადარი, მის ნების წინააღმდეგ ვერ გაიცემა ვერც ერთი კაპიკი. ცოლი მისი შემყურეა და გულგაწყალებული უნდა ელოდეს მის მოწყალებას.

თანამედროვე ოჯახი აგებულია ქალისა და ბავშვების საშინელ ეკონომიურ ექსპლოატაციაზე, ქალის უფლებრივი და მორალური მდგომარეობა კიდევ უფრო საშინელია. არ არის საქციელი, რომელსაც მამაკაცი სქესობრივ სფეროში თავის თავის ნება დართულად არ თვლიდეს, მას შეუძლია იყოს ცოლის მიმართ უხეში, უყვარდეს სხვები, გამუდმებით ქეიფობდეს და დროს ატარებდეს, 24 საათი ოჯახის გარედ იყოს, ხოლო ცოლმა ყველაფერი უნდა ითმინოს, სიტყვის შეუბრუნებლად ქმრის ყოველი კაპრიზი შეასრულოს და არამც და არამც ქმარს „არ უღალატოს"!..

ჩვენ მამაკაცებს არა გვაქვს სრულებით წარმოდგენილი თანამედროვე ოჯახში ქალის ტრაღედია.

აბა, ერთიც ვსთქვათ, შეიცვალოს როლები: თქვენ მამაკაცებმა სამზარეულოში გაიწყვეთ თქვენი კაბინეტები, ითითხნეთ მთელი დღე სამზარეულოში. დაბადეთ შვილები, რეცხეთ მათი ჩვრები და ატარეთ უძილო ღამეები და როგორი მეცნიერები, პოლიტიკოსები და პოეტები გამოხვალთ — ამასაც ვნახავთ!...

ასეთია დაახლოვებით თანამედროვე ოჯახი, ის უეჭველად დასანგრევია. **მიუხედავათ ამისა თანამედროვე** ოჯახსაც აქვს მრავალი დადებითი მხარე. მე აქ მოგახსენებთ ყველასათვის ცნობილ და სტატისტიკით დადასტურებულ ფაქტებს. **ოჯახის კაცი საზოგადოთ უფრო** კეთილი არის, ვიდრე უოჯახო, ავადმყოფ... ტია უცოლო და უქმროებში, ვიდრე **ცოლიან - ქმრიანებში**, ოჯახიანები უფრო მეტხანს ცხოვრობენ, ვიდრე უოჯახონი და სხვ.

ყოველივე ეს ითქმის ბურჟუაზიული **საზოგადოების** ოჯახზე, რაც შეეხება საბჭოთა კავშირში ოჯახის მდგომარეობას, მასში, როგორც ვთქვით, მთელი რევოლიუცია ხდება. ის დღეს სავსებით ჯანსაღ და მტკიცე უფლებრივ ნიადაგზე დგას, საჭიროა მხოლოდ ჩვენი ოჯახის ეკონომიური და მორალური მხარეების **გაჯანსაღება**.

ასეთია მდგომარეობა და როცა ყოველივე ამის შემდეგ ზოგიერთი ახალგაზრდა გვეუბნება: **რისი ოჯახი**, რა ოჯახი! ოჯახური ცხოვრება მეშჩანობაა — უნდა ითქვას, რომ ეს არის ყალბი რადიკალიზმი და წმინდა წყლის მეშჩანობა უფრო მეტი ნამდვილი გარყვნილებაა!..

მარქსი დიდი რადიკალი იყო, მაგრამ ოჯახი ჰქონდა, ცოლშვილი ყავდა და გაგიჟებით უყვარდა.

ლენინი დიდი რადიკალი იყო — ეს უდავო ფაქტია, მაგრამ ცოლი ყავდა, ოჯახი ჰქონდა.

გ. პლეხანოვი იყო მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი და სახელგანთქმული პუბლიცისტი, მასაც ოჯახი ჰქონდა, ცოლშვილი ყავდა.

ნუ თუ ჩვენებური 20 წლის ახალგაზრდა მარქსზე, ლენინზე და პლეხანოვზე უფრო რადიკალი და წინ წასულია?!.

ვერ დავიჯერებ!

**ლეო. შენგელაია.**

# ა ვ ღ ა ნ ი ს ტ ა ნ ი

## საერთო ცნობები

გასულ კვირას ტფილისს ესტუმრა ავღანისტანის ფადიშახი ამანულა ხანი. ამას წინად ამ ფადიშახმა მოიარა ინგლისი, საფრანგეთი, გერმანეთი, რუსეთი, ოსმალეთი. ყველგნ დიდის ამბით ხვდებოდნენ მას. ყოველი სახელმწიფო უჩვენებდა მას თავის კულტურისა და სამხედრო ძლიერების ატრიბუტებს და ყველგან ეძებდნენ მის მეგობრობას. თვით ავღანისტანი პატარა ქვეყანაა, არც ამანულა ხანია ჰენიოსი. მაშ რით აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელიც მიიპყრო ფადიშახმა? კერძოდ, რატომ არის ის ყურადღების ცენტრში საბჭოთა კავშირისათვის აღმოსავლეთის საკითხში? რატომ გახდა ამანულა ხანი ევროპისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ობიექტად?

ავღანისტანი უხსოვარ დროიდან იპყრობდა ყველა დიდ დამპყრობთა ყურადღებას. ამ ქვეყანას უნახავს და განუცდია ბასრი მახვილი ველური სკვითებისა, ფალანგები ალექსანდრე მეკადონელისა, ურდოები ჩინგიზ ყაენისა და თემურლენგისა, საშინელი დარბევა ბაბურისა და ნადირ-შაჰისა. ის მდებარეობს ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით საზღვრავს საბჭოთა კავშირი, დასავლეთით სპარსეთი, სახმრეთით ბელუჯისტანი, აღმოსავლეთით ინდოეთი. ერთობ მთა-გორიანი ქვეყანაა, კონტინენტალური ჰავა აქვს, მკაცრი ზამთარი იცის და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აუტანელი სიცხე. ხალხი ცხოვრობს მდინარეთა ნაპირებში, განსაკუთრებით მდინარე ქაბული, გერი-რუდა, კანდაგარსა და ჰილმენდში. მცხოვრებთა რაოდენობა 6 მილიონ ნახევარს უდრის. მთავარ მოსახლეობას ავღანელები შეადგენენ, შემდეგ მოდიან ტაჯიკები, უზბეკები და სხვა. მთები დაფარულია ფოთლოვანი წიწვიანი ტყეებით. ავღანისტანის სამხრეთ-ნაწილში კი მრავალი უდაბნოა და არა ხარობს რა.

ავღანისტანი დაყოფილია 5 დიდი და 4 პატარა ოლქათ. ყველაზე დიდი არის ქაბულის, გერატის და კანდაგარის პროვინცია. ქაბულის პროვინციის სათავეში დგას ემირი, იგივე ფადიშახი, დანარჩენ პროვინციათა სათავეში დგანან მეფის ნაცვლები. მეფესთან არსებობს ორი საბჭო: „მეფის საბჭო" და „საზოგადოებრივი საბჭო". პირველი შესდგება უმაღლესი თავადებიდან და სამღვდელოებისაგან, ხოლო მეორე უმაღლესი მოხელეებიდან. გარდა ამისა არსებობს მეფესთან რაღაცა მინისტრთა კაბინეტის მაგვარი, მაგრამ ემირისათვის ისინი მხოლოდ მრჩეველები არიან. ინიციატივის უფლება მხოლოდ ემირსა აქვს. ემირი არის უმაღლესი მოსამართლე, უმაღლესი კანონმდებელი, მისი ნება კანონია და გარდაუვალი. ამრიგათ, ავღანისტანი მონარქიაა.

ავღანისტანის ეკონომიკას ახასიათებს ის, რომ ავღანისტანი ჯერ კიდევ ძალიან სუსტათაა ჩაბმული მსოფლიო მეურნეობაში. უმთავრესი წყარო ცხოვრებისა სოფლის მეურნეობა და მეჯოგეობაა. წინად აქ ძალიან განვითარებული მელიორატიული სისტემა იყო, საუკუნეთა განმავლობაში ეს კულტურა დაეცა და ეხლა მინდვრებს რწყავენ არხებით. სთესენ ხორბალს, ქერს, ბრინჯს, ცერცვს, ოვნჯას, სიმინდს. საკუთარი პური არ ყოფნით და შემოაქვთ ინდოეთიდან. ტეხნიკური კულტურიდან მისდევენ ბამბის, თამბაქოს, ყაყაჩოს, სელს და აქა იქ შაქრის ლერწმის კულტურასაც. განსაკუთრებით გავრცელებუ- დალია თამბაქო და ყაყაჩო. ისინი გააქვთ ინდოეთსა და ბუხა-

რაში. ძალიან განვითარებულია მებაღეობა და მებოსტნეობა. ქაბულისა და კანდაგარის პროვინცია მაგალითად, ამით ცხოვრობს. აქ შეხვდებით სამხრეთ-ევროპის ხილის ყველა ჯიშებს.

მეჯოგეობა გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით მისდევენ მეცხვარეობას და მეცხენეობას. ავღანისტანის ცხნები იმდენად განთქმულია, რომ ინგლისის არმია ინდოეთში მხოლოდ ავღანელთა ცხენებით სარგებლობს. მეჯოგეობას დიდი შემოსავალი მოაქვს ქვეყნისათვის.

ავღანელები მისდევენ აგრეთვე ტყის დამუშავებას, მაგრამ უმთავრესად შინაური საჭიროებებისათვის.

საინტერესოა და საყურადღებო ავღანისტანის მრეწველობა, რადგან უკანასკნელი სამოქალაქო ცხოვრებისა და მუშათა მოძრაობის საფუძველია.

უხსოვარ დროიდან გავრცელებულია ლეგენდა ინდოეთისა და ავღანისტანის ზღაპრულ სიმდიდრეთა შესახებ. შეიძლება ეს მართალიც იყოს, მაგრამ ავღანისტანის სიმდიდრე ჯერ არ არის გამოკვლეული. ავღანისტანის რკინა განთქმულია მთელს ინდოეთში და ავღანისტანი მდიდარია რკინის მადნით. გარდა ამისა, ავღანისტანს აქვს სპილენძის, ოქროს, ტყვიის, აზბესტის, ვერცხლის და სხვა მადნები. უკანასკნელ ხანებში აღმოაჩინეს ჰინდუკუშში ქვა-ნახშირის მადანი, ხოლო გერატის პროვინციაში— ნავთი. ეს აურაცხელი სიმდიდრე არაა დამუშავებული, მრეწველობას აქვს ოჯახური ხასიათი, რასაც ხელს უწყობს მთავრობის პოლიტიკა და საზღვარგარეთელ ფაბრიკატებზე დაწესებული მაღალი ბაჟები. განსაკუთრებით განვითარებულია ტყავეულობისა და რკინეულობის დამზადება, მაგრამ ამ მრეწველობას კულტურული და ქარხნის ხასიათი არა აქვს.

პირველი ქარხანა დაარსდა ქაბულში 1885 წ. სამხედრო მიზნებისათვის. ამჟამად ამ ქარხანაში მუშაობს 5 ათასამდე მუშა. ეს არის საარტილერიო ქარხანა. მეორე, ტყვის ქარხანა არის იმავე ქაბულში და ამზადებს არმიისათვის ფეხსაცმელს. ამ ქარხანაში მუშაობს 400 მუშა. სხვა დასხვა დამხმარე ამქრებში მუშაობს 600-მდე მუშა. ამ რიგათ, ამ ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშათა რიცხვი უდრის 6.000 კაცს. ამრიგად, მუშათა კლასი ავღანისტანში მხოლოდ ახლა ისახება.

საგარეო ვაჭრობაში უმთავრეს როლს თამაშობენ ინდოეთი, რუსეთი და სპარსეთი. იმპერიალისტურ ომამდე საგარეო ვაჭრობა ასეთ სურათს იძლეოდა:

| | **ექსპორტი** | %% | **იმპორტი** | %% |
|---|---|---|---|---|
| ინდოეთი | 7.730.000 | 52 | 9.170.000 | 59 |
| რუსეთი | 6.300.000 | 42 | 5.940.000 | 38 |
| სპარსეთი | 880.000 | 6 | 540.000 | 3 |

იმპერილიალისტური ომის შემდეგ ვაჭრობის სურათი ასეთია 1913 წელთან შედარებით.

| **იმპორტი** | 1913 წ. | 1922—23 წ. | 1923—24 წ |
|---|---|---|---|
| ინდოეთი | 15.687.000 | 14.886.000 | 16.308.000 |
| რუსეთიდან | 5.940.000 | 20.000 | 69.000 |
| სპარსეთიდან | 461.000 | 152.000 | 198.000 |

**ექსპორტი იმავე წლებში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინდოეთში | 8.004.000 | 15.176.000 | 8.934.000 |
| რუსეთში | 6.300.000 | 469.000 | 1.314.000 |
| სპარსეთში | 816.000 | 863.000 | 1.179.000 |

ეს ცხრილი სხვათა შორის, იმასაც გვიჩვენებს, თუ როგორ ისარგებლა ინგლისმა რუსეთის დროებითი გასვლით ავღანისტანის ბაზრიდან. როგორც რუსეთი ისე ინგლისი დაინტერესებული არიან ავღანისტანთან ეკონომიური ურთიერთობით, ავღანისტანის ბაზრით და სრულიად არ არის ინტერესს მოკლებული ის გარემოება, თუ ვის გაუღებს კარებს სავაჭრო და სამრეწველო ურთიერთობისათვის ავღანისტანი. და ეს მით უმეტეს, რომ 1925 წლიდან ავღანისტანის მთავრობა იღებს ზომებს უცხოეთის კაპიტალის რაციონალური გამოყენებისათვის. ავღანისტანს სურს დადგეს გაევროპიელების გზაზე, იცვალოს ეკონომიური სახე და გახდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ინგლისის იმპერიალიზმისაგან.

არის ყველა ნიშნები იმისა, რომ ავღანისტანი გაუძლევება თავის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებას დამოუკიდებლივ და თავს დაახწევს ინგლისის ბრჭყალებს.

ასეთია ის ქვეყანა, რომლის ფადიშახი ამ დღეებში ესტუმრა თბილისს. ამ ქვეყანას მსოფლიო რუქაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ძევს დიდი სავაჭრო გზაზე ინდოეთ-სპარსეთ-რუსეთ შორის. მას სამართლიანად უწოდებენ „ინდოეთის კარებს“. მას აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა იმისათვის, ვინც ფლობს ინდოეთს. ყოველთვის, როდესაც ინგლისი გაუჭირვებდა საქმეს რუსეთს, რუსეთი მიადგებოდა ავღანისტანს და ინგლისიც მიდიოდა დათმობაზე. ასე იყო 1855 წელს ყირიმის ომის დროს, ასე იყო 1878 წელს, როდესაც რუსის მხედრობა უახლოვდებოდა სტამბოლს. ამიტომ სცდილობდა ინგლისი იარაღით ხელში დაეპყრო ავღანისტანი, მაგრამ ვერ შესძლო. მაშინ ინგლისმა ფულითა და დიპლომატიური ხერხებით მოისყიდა ავღანისტანის ემირები და მართველები, დაუნიშნა მათ „სუბსიდია“ და ავღანისტანი გადააქცია თავისი ახალშენათ. ოფიციალურად კი რუსეთის ტრადიციული დიპლომტიის საწინააღმდეგოთ ინგლისმა ავღანისტანი გადააქცია საბუფერო სახელმწიფოდ, მანვე შესძლო ოკუპაცია ექნა და შემდეგ სრული ანექსიაც ავღანისტანის აღმოსავლეთ ოლქის ნაწილისათვის, სადაც 2 მილიონი მცხოვრებია.

ინგლისმა ავღანისტანს შემოავლო რკინის გზა მთელი სამხრეთის საზღვრების გასწვრივ ბელუჯისტანის მხრივ და ყველა მისავალ ადგილებში რკინის-გზები გაიყვანა. ამ მხრივ ინგლისს არც მეფის რუსეთი ჩამორჩა და გაიყვანა რკინის გზები ერთი მერვი—კუშკისა და მეორე ბუხარაში ტერმეზის მიმართულებით. ასე ემუქრებოდა პატარა ავღანისტანს ორი დიდი ვეშაპი: რუსის დათვი და ინგლისის ლომი. ასე იყო ოქტომბრის რევოლიუციამდე.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ახალმა რუსეთმა იცნო ავღანისტანი არა როგორც ბუფერული, არამედ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეს იყო 1919 წელს, ამავე წელს ავღანისტანმა სრულიად დააღწია თავი ინგლისის ბატონობას. 1919 წ. რუსეთიდან წელ გამაგრებული ავღანისტანი აჯანყდა და ჩამოგდებულ იქნა ტახტიდან და მოკლული ინგლისის დაქირავებული ემირი ჰაბიბულა. გამეფდა მისი შვილი ამანულა. ახალმა რუსეთმა იცნო ახალი ავღანისტანი დამოუკიდებელ სხელმწიფოდ. ინგლისმა ომი გამოუცხადა, მაგრამ თვე-ნახევრის შემდეგ ბრძოლა შესწყვიტა და ხელი აიღო ავღანისტანის მიმართ აგრესიულ პოლიტიკაზე. ავღანისტანი გამოვიდა საერთაშორისო პოლიტიკის გზაზე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

დღეს ინგლისი საბჭოთა მთავრობის ყველაზე უმძვინვარესი მტერია. არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელსაც ინგლისი არ აქეზებდეს საბჭოთა კავშირის მიმართ. ინგლისის უმთავრესი ახალშენი ინდოეთია, ინდოეთის ისტორიული კარებთან დგას ახლად განთავსუფლებული ავღანისტანი თავისი გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობით. აი, რატომ მიიპყრო ფადიშახ ამანულამ ასეთი დიდი ყურადღება, აი რატომ მოექცა ის ინგლისის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ცენტრში აღმოსავლეთში.

და თუ ახალ ავღანისტანს არ დავიწყებია ინგლისის სისხლიანი გაკვეთილები და საშინელი დამცირება, რომელიც ავღანელებმა იგემეს ინგლისის იმპერიალისტებისაგან, მან უნდა დაუკეტოს ეს კარები ინგლისის იმპერიალიზმს და ხელი მისცეს მას, ვინც მისი დამოუკიდებლობა პირველად იცნო და ვინც მას დაეხმარა თვით ინგლისის იმპერიალიზმის წინაალმდეგ.

**ბარელი.**

# „ჯაყოს ხიზნები"—მიხეილ ჯავახიშვილისა*)

თეიმურაზი რომ ჩვენი ინტელიგენციის რომელიმე წრეს სახავდეს, ან ჩვენი ცხოვრების რაიმე ტენდენციას ატარებდეს, ერთი სიტყვით, ის რომ ჩვენი ცხოვრების სოციალურ სინამდვილეს წარმოადგენდეს, მასში უსათუოდ ეროვნული თვისებებიც იქნებოდა.

იმედია, დაგვეთანხმება ს. დევდარიანი, რომ ქართველ კაცს, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, არ შეიძლება მივაწეროთ ისეთი პასივობა ცოლის ბედ-იღბლის საქმეში, რომელსაც იჩენს ჯავახიშვილის თეიმურაზი. მე ვფიქრობ,რომ არ ეგუება ქართველი კაცის ბუნებას, სულ ერთია, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც შენი საყვარელი ცოლი ხასად უხდება სხვას და ამ უკანასკნელიდან ლუკმა პურს ღებულობ, მე ვფიქრობ, რომ განსაკუთრებული ფანტაზიის მწერალი უნდა იყო, რომ ქართველ კაცს ცოლი მოსტაცო, მის მოჯამაგირეს ის ხელში ჩაუგდო, შემდეგ ის მიიყვანო მისი ყოფილი ცოლის მიერ ამ მოჯამაგირესთან შეძენილ ბავშის აკვანთან და ალაპარაკო „ალუუ! ალუუ!... ალუუ, პაწაწინა ჯაყოსო". (გვ. 197).

მიხ. ჯავახიშვილს რომ ბუნებრივი სახეები შეექმნა, ის ამ შემთხვევა'ში უსათუოდ მოგვცემდა ისეთს მდგომარეობას, . როცა ასეთი ქმარი თავისი სურვილების, თავისი პრინციპების და მთელი თავისი არსების წინააღმდეგ მივიდოდა ხელისუფლებასთან, გამოუცხადებდა მას მორჩილებას და შეეცდებოდა თავისი მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, ან შეეფარებოდა რომელიმე არა-ლეგალურ პოლიტიკურ წრეს და იმუშავებდა ხელისუფლების წინააღმდეგ. ან და, თუ ვერც ერთსა და ვერც მეორეს ვერ შესძლებდა, მოიკლავდა თავს. სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია ასეთი მოქმედება, მაგრამ მის ბუნებრივობაში, მის სინამდვილეში ეჭვი არავის შეეპარებოდა.

მაგრამ როდესაც თქვენ გისახავენ ყოფილ საზოგადო მოღვაწეს, რომელიც მომაბეზრებელად წუწუნებს არსებულ პირობების მიუღებლობაზე, მოღვაწეს, რომელიც პრინციპიალურად გაურბის რესპუბლიკის დაწესებულებებში მუშაობას და პატიოსანი შრომით ოჯახის შენახვას, და ამსთანავე თავს შეაფარებს თავისი ცოლის მჯიჯგვნელს, ნება გვიბოძეთ გამოვსთქვათ აზრი, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს სიყალბესთან და არა მხატვრულ სინამდვილესთან.

ს. დევდარიანი თეიმურაზის ცოლის მარგოსათვისაც ნახულობს გამართლებას და, მისი აზრით, გასაგებია, რომ ბეტხოვენის მუსიკაზე აზრდილი ეს ქალი, რომელიც სიყვარულით გაყვა თეიმურაზს, ეკონომიურ პირობების გამო მოხდა ბინძურ ჯაყოს მკლავებში.

ს. დევდარიანი, როგორც მარქსისტი, ყოველი მოვლენისათვის ეძებს ეკონომიურ ბაზას, მაგრამ მას არ უნდა ავიწყდებოდეს,რომ მოვლენის ახსნისათვის საჭიროა თვით მოვლენის რეალობა. თუ თვით მოვლენა ფანტაზიაა, მაშინ მისი ახსნა კი არ შეიძლება ეკონომიურ პირობებით, არამედ თვით ამ ფანტაზიის წარმოშობას უნდა მოუნახო ეკონომიური ბაზა. „ჯაყოს ხიზნები", როგორც მ. ჯავახიშვილის ნაწარმოები, რეალური მოვლენაა, რომლის წარმოშობა რასაკვირველია შეიძლება ეკონომიური ფაქტორებით, მაგრამ ცდა იმისი, რომ ყველაფერი, რაც ამ ნაწარმოებ'შია, ეკონომიურად დაასაბუთო, უიმედო საქმეა.

ჩვენ გვესმის ისეთი სოციალური მოვლენის ეკონომიური პირობებით ახსნა, როგორიცაა მეძავობა, მაგრამ ამ პირობებით ისეთი მოვლენის ახსნა, როცა ნივთიერად დაბეჩავებული საზოგადო მოღვაწის ცოლი მკლავებში უვარდება მყრალ ადამიანს, ერთობ მოსაწყენი საქმეა. ყოველ შემთხვევაში აქ სოციალურ მოვლენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ კერძო შემთხვევასთან, რომელიც მხატვრულ შემოქმედებისათვის ვერ გამოდგება.

მიხ. ჯავახიშვილი ასე ასაბუთებს მარგოს საქციელს:

ის რომანის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე დაჟინებით ხაზს უსვამს ჯაყოს მკლავების ფიზიკურ სიძლიერეს და თეიმურაზის ფიზიკურ სისუსტეს.

და აი ეს ფიზიკა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ რომანის სქესობრივ ურთიერთობაში, საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, ჯავახიშვილის აზრით, ქალს იტაცებს და მის გრძნობას იმონებს მამაკაცის მხოლოდ ფიზიკური ძალა. მაგრამ ეს აზრი, რომელიც შეიძლება კიდევაც ნახულობდეს თავის განსახიერებას სქესობრივ დამოკიდებულების ამა თუ იმ შემთხვევებში, ისე მახინჯად აქვს ჯავახიშვილს მარგოს სახეში გატარებული, რომ მის მხატვრულ სინამდვილეს ვერასოდეს ვერ შეიგრძნობთ.

ჩვენ ვიცით, რომ თეიმურაზის ცოლს მარგოს ძალით ნამუსი ახადა მისმა ყოფილმა მოჯამაგირე ჯაყომ ლიახვის პირად ღამით ურემზე.

რას წარმოადგენდა გარეგნულად ეს ჯაყო? ავტორის გადმოცემით ჯაყოს „შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ქონდა; ცხვირი მოკლე და აჭყლეტილი; თვალები მსხვილი კაკლისოდენა და ამოყრილი... თავთ ეხურა ყავის ფერი ოსური ნაბდის ქუდი, ტანთ ეცვა ოსური შალის გაპოხილი ჩოხა... ჯაყო ჯიბამშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვს გავდა" ცხენის კბილები ქონდა და საერთოდ ყარდა. ყოველის მხრით ბინძური, ის იყო ფიზიკურად მძლავრი.

მარგოს ქმარი „თეიმურაზ ხევისთავი თავის ნამოურავალს იღლიამდე ძლივს სწვდებოდა. თეიმურაზი უმზეო ყვავილივით ნაზი და ლამაზი იყო, ნატიფად ასხმული და ნაქანდაკევი, მაგრამ გამხდარი და გაძვალებული". ფიზიკურად ის სუსტი იყო.

თავისი ფიზიკური ძალა ჯაყომ გამოიჩინა მარგოზე, რომელსაც გაუპატიურების დროს „დაუნდობლად სთელავდა, ხელ-ფეხს უმტვრევდა და კბენდა".

მარგო ახდილ ნამუსს და გასრესილ თავმოყვარეობას ცხელის ცრემლით გლოვობდა.

ეს პირველად.

მეორეჯერ იმ ღამესვე „მარგო აღარ კიოდა და არც იბრძოდა... ბავშვივით სტიროდა და გაუგებარს ლუღლუღობდა".

მესამეჯერ იმ ღამესვე „კივილის და ტირილის ნაცვლად დედაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ბოდვა მოისმა". (56 გვ.) რომანის პირველ ვარიანტში ეს უფრო შიშვლადაა ნათქვამი: „ტირილის ნაცვლად მალე ამლილ დედაკაცის ვნებიანი ღმუილი, ნამარხულევ ქინის კვნესა და დამშეულის თავდავიწყებული ბოდვა მოისმა". (42 გვ.).

როცა ამ უბედურების შემდეგ მარგომ ჰალაში პირველად გამოიღვიძა, „ხარბად დასწვდა ცხოვრების ერთს საუნჯეს,რომელიც ამ ქვეყნად არც კი ეგულებოდა,რაც უნდილმა და ჰიანაქამმა თეიმურაზმა თავისი უმისვნებით ათ წელიწადში ვერ გაუთბო მარგოს, ტყიდან გამოვარდნილმა ნადირმა,—ჩაკირულმა ჯაყომ,—ათ წუთში აუდუღა და აუჩქროლა". მარგოს გაღვიძებულმა ძარღვებმა სიცოცხლის ყრიამული მორთეს და დუბელა სისხლმაც ჩუხჩუხი ასტეხა", და მისი დაობებული ტანი სხივნაკრავ კოკორივით გაიფურჩქნა.

მარგო დედაკაცი იყოვო, ამბობს ავტორი, ამიტომ იმის გულსაც მუდამ ულიტინებდა იდუმალი წყურვილი საყვარლის აჩენისა (69 გვ.) და ეს მით უფრო, რომ თეიმურაზის „დაბრეცილ და დონბლო სისხლში ვნების ქარიშხალი არასოდეს არ ატეხილა. მარგო ერთხელაც ვერ გააცხელა და ვერ აუდუღა მისი ობოლი სისხლი ვნების დუღილით, რომელსაც უნდა მოყოლოდა სიცოცხლის ხალისი, დინჯი ბედნიერება და ხევისთავთა გვარის უკვდავება".

---

*) დასასრული. იხ. „ახალი გზა", № 69.

თქვენ ხედავთ, რომ ჯავახიშვილის აზრით სქესობრივ საკითხში მთავარია მხოლოდ ფიზიკური ძალა, რომელიც დედაკაცს ანიჭებს სიცოცხლის წყურვილს და ამ ქვეყნის საუნჯეს.

რომ არავითარ ეჭვს არ იწვევდეს ავტორის ასეთი აზრი, ის წიგნის მთელ ორას გვერდზე გვიმტკიცებს ჩვენ, რომ თეიმურაზის ცოლმა მართლა იგრძნო ბედნიერება ბინძურ ჯაყოს მკლავებში, რომ განათლებულსა და ესტეტიურს მარგოს პირველ დღეებშივე შეუყვარდა ბანჯგვლიანი და ცხენის კბილებიანი ჯაყო, რომ ფიზიკურ დამოკიდებულების მეოთხე აქტის შემდეგ „მარგომ სიბნელეში მკლავები გაშალა და ფაშვნიერი ჯაყო ძალუმად ჩაიხუტა“ (გვ. 68), „როცა მას თვალწინ დაუდგა თეიმურაზი **სხეულით მჩატე** და შეადარა ის გამხეცებულ ჯაყოს, — ნადირივით თავაგლეჯილს, კადნიერსა და რეგვენს, ხეპრეს და მოუხეშავს, სამაგიეროდ **დათვივით ღონიერს**“ (გვ. 69).

ჯავახიშვილი გვიმტკიცებს ჩვენ, რომ „განთქმულ საზოგადო მოღვაწის, ცნობილ მწერლის, პატიოსანთა შორის პატივდებულის, ამაყ და ქედუდრეკ თავადიშვილის — თეიმურაზ ხევისთავის ცოლმა“ (135 გვ.) მარგომ შეიყვარა და ხასად გაუხდა, თვით ავტორის დახასიათებით, „ტყიდან გამოვარდნილ ნადირს, რომელიც მუდმივ ნეხვით იყო შეთხუპნული და ჭუჭყისაგან იყო შეჭმული, რომელიც არასოდეს საპონს არ იკარებდა და არც პერანგს იცვლიდა, რომელიც ისე იყო აყროლებული, რომ მისი სუნი სამი დღე მაინც ტრიალებდა იმ ოთახში“, სადაც ის შევიდოდა.

მე ვფიქრობ საკმარისი უნდა იყოს ეს ადგილები იმის დასაჯერებლად, რომ ჯავახიშვილი თავის რომანში გვაძლევს რაღაც სენით შეპყრობილ ქალს და არა ქართველი ქალის სინამდვილეს.

და ჩვენ ვეკითხებით მიხ. ჯავახიშვილს, ნუ თუ ის სერიოზულად ფიქრობს, რომ ქალის გრძნობისათვის საკმარისია მამაკაცის ფიზიკური ღონე და სადისტური „დაბუზნა“ ისეთი ნადირის მიერ, რომელიც არა თუ სულიერად, არამედ გარეგნულადაც არ გავს ადამიანს, აქვს თუ არა ჯავახიშვილს წარმოდგენილი, რომ ქალის სქესობრივი წყურვილი იგივე დედობრივი ინსტინქტია, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს ქალის ბუნებას და არა აგდებს მას იმ წუმპეში, რომელშიაც სცურავენ მისი გმირები.

მაგრამ ამაო იქნება ჩვენი შეკითხვა: მიხ. ჯავახიშვილის დიდტანიანი წიგნი დამამტკიცებელია იმის, რომ ამ მწერალს არავითარი წარმოდგენა არა აქვს ქალის არც ფიზიკურ და არც სულიერ განცდაზე.

მ. ჯავახიშვილის ამ რომანში ერთნაირი სპორტია გამართული ლიტერატურაში უჩვეულო ფრაზების და შედარებების ხმარებაში.

მას შემდეგ, რაც მარგო ჯაყოს დაუახლოვდა, ის ერთს თვეში გამოიცვალა: მაღალ ყელზე ორკეცი ღაბაბი გამოუჩნდა და სხ. რამ არგო აგრე რიგად მარგოსო, კითხულობს თეიმურაზი, და ჯაყო განმარტავს:

„ჯაყოს მკლავებმა, მაშ, მაშა! ჯაყომ მარგოს ჯადო გაგიკეთე, უკვდავების წყარო დაგალევინე“ და ხმა მაღლა დაატანს:

„დედაკაცი ბალი ხარ. თუ არ მორწყე, გახმები“.

რომ მკითხველისათვის ნათელი იყოს, თუ რას ნიშნავს დედაკაცის მორწყვა, ავტორი იქვე განმარტავს, რომ ჯაყო ხშირად ეტანებოდა მარგოსო. (84 გვ.).

ჯაყო ასე იკვეხნის თავის ფიზიკურ ძალას:

— „ჯაყომ ორი ცოლი მოიყვანე... ორივენი მოკვდებოდე, ჯაყოს ვერ გაუძლებდე“.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ არა ბუნებრივია თვით გარეგნული პირობები, რომელშიაც მიმდინარეობს რომანის მოქმედება.

ჯაყო გონიერი გლეხიაო,—ამბობს ავტორი—და ავიწყდება, რომ ასეთი ადამიანი უტკივარ თავს არ აიტკივებს და იმ სახლ-კარის და განძეულობის ყოფილ პატრონს, რომელიც მან მიითვისა, ამ სახლშივე არ შეიფარებს.

მაგრამ ეს დასჭირდა მიხ. ჯავახიშვილს იმ ლეგენდის შესაქმნელად, რომელსაც ის აცოდვილებს წიგნის მთელი 208 გვერდის მანძილზე.

ყოველი ლეგენდა იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ ის ლამაზ ფორმებშია ჩამოსხმული, მაგრამ ლეგენდა, რომელშიაც ავტორი ფანტასტიურ სახეებს ერთგულად აზავებს სხვადასხვა საზიზღარ ფერადებით, მომაკვდინებელი დანაშაულია იმ ახალგაზრდობის წინაშე, რომელიც მას კითხულობს, და დანაშაულია მწერლობის წინაშე, რომელმაც ულმობელად უნდა განდევნოს ის ხელოვნების ტაძრიდან.

ს. დევდარიანის მოხსენებები **სამწუხაროდ ხელს ვერ** შეუწყობს ამ ნათელ საქმეს.

**სიო ჩანტურიშვილი.**

# რას გვავალებს თანამედროვე მომენტი

**(ქართველი ემიგრაციის საყურადღებოდ)**

ნუ გაიკვირებთ, თუ ჩემი წერილი უბრალო მუშური ენით, მაგრამ გულწრფელად იყოს დაწერილი თქვენს მიმართ, ნურავინ იფიქრებს ამას ვწერდე ვინმეს ზეგავლენით. ვსწერ ამას ჩემის გაგებით, საკუთარი შეგნებით. ეს წერილი არ იქნება უცხო სიტყვებით აჭრელებული. მე ამაები აღარ გემეგება რა,ვარ უბრალო უჩინარი მუშაკი,ასე ვიყავი წინად, თქვენი საქართველოში ბატონობის დროს, ასე ვარ ეხლაც, მაგრამ ჩემი მდაბიო მუშური ენა იქნება სიმართლის გამომთქმელი, გულწრფელი, უმწიკლო, და ველასთავის გასაგები. დღეს, როცა ამ წერილს ვსწერ, ქართველი მშრომელი ხალხი დიდი ზეიმით იხდის საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავს. მე ვხედავ ამ ზეიმს და ვიგონებ იმ მძიმე დაბრკოლებებს, რომლებიც გადალახა განვლილი 10 წლის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ და გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლის ველზე, ბრძოლის ყველა ფრონტებზე. იგი ასეთივე ბოლშევიკური სიმტკიცით უძლევება ქვეყნის აღმშენებლობას, ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობის სწრაფი ტემპით განვითარებას და სოციალიზმის გამარჯვებას. შეადარეთ დღევანდელი საქართველო მენშევიკურს და აშკარად დაინახავთ დიდ განსხვავებას. თუ მაშინ შური და მტრობა, მუდმივ შფოთი და ომი გვქონდა მეზობელ ერებთან, ეხლა ხელი ხელ ჩაკიდებული ვმუშაობთ ყველა ერთად, ერთი იდეით გამსჭვალულნი. აი, არ მოგვცა საბჭოთა ხელისუფლებამ. ამ მცირე ხანში საქართველომ შეიძინა იმოდენა ნაციონალური განძი, რასაც ვერ მოგვცემდა ვერავითარი სხვა მთავრობა თანამედროვე ობიექტურ პირობებში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, კულტურული წინსვლა უტყუარი საბუთია ჩვენი ჩამორჩენილი ერის აღორძინების და განვითარებისა.

არას დროს არ ვყოფილვარ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, არც ეხლა ვეკუთვნი ასეთს. თავიდანვე არ მივდევდი პარტიულ საქმიანობას. ვიყავ უპარტიო და ვმუშაობდი პატარა უჩინარ თანამდებობაზე და ამავე დროს, ასეთივე შეუმჩნევლად და ჩუმად ვმუშაობდი პოეზიაში. არ მინდოდა ჩემი სამწერლო ასპარეზით რომელიმე პარტიულ რკალებით შემომეფარგლა; ვიყავ უპარტიო და არც მიზიდავდა პარტია. მაგრამ, ამჟამად ჩემდა უნებურად, ჩემში მოხდა სულიერი გარდაქმნა, მძლავრი გარდატეხა. კომუნისტურმა პარტიამ თავის საქმიანობით ჩემში შთაბერა ბრძოლის სურვილი, მომავლის ძიების ნებისყოფა და ჩემში დაისვა საკითხი: ეს ხალხი წინ მიდის დიადი

საქმისაკენ, იბრძვის სოციალიზმსათვის, და არ ვარგა ამ დროს გვერდზე იდგე მაყურებლის როლში გულხელდაკრეფილი, არ ვარგა, არც ახთენდე მაგრამ არც აკეთებდე. დიახ, განვლილმა წლებმა და კომუნისტური პარტიის უმაგალითო შემოქმედებამ ღრმად დამარწმუნა ამაში და მიმიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ მივიდე კომპარტიასთან და ხელისუფლებასთან, გავიზიარო მისი ჭირი და ლხინი.

ემიგრაცია, რომელიც დღემდის ვერ შერიგებია საბჭოთა ხელისუფლებას, უთუოდ კიდევ ფიქრობს დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენაზე, ამ მიზნისათვის ისინი მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, არ ერიდებიან არავითარ ავანტიურას. აგვისტოს სისხლიან დღეების ავტორებს რა უნდა უწოდო ადამიანმა, თუ არა საქართველოს მშრომელი ხალხის მესაფლავე და გამანადგურებელი ფიზიკურად და მატერიალურად? და ის მწარე გაკვეთილი, რომელიც საქართველოს მუშათა კლასმა იგემა აგვისტოს დღეებიდან მას ეუბნება, რომ იგი შესცდა და გვერდში ამოუდგეს საბჭოთა ხელისუფლებას და ითანამშრომლოს მასთან. ემიგრაციის ლიდერები, როგორც ვტყობილობთ კიდევ არ ჰკარგავს რესტავრაციის იმედს, მოელიან საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობის გართულებას და ამ გართულებით უნდათ ისარგებლონ. ჩვენ დარწმუნებით ვამბობთ, რომ თუ მართლაც მოხდა ასეთი გართულება, საბჭ. ხელისუფლება ამ გართულებიდანაც გამარჯვებული გამოვა, ვინაიდან მთელი ქვეყნის მშრომელების სიმპატია დღეს საბჭოთა ხელისუფლებისაკენაა. იმპერიალისტური სახელმწიფო რაც უნდა ძლიერი იყოს ტეხნიკით, უძლურია იქ, სადაც ბრძანებლობს მშრომელთა ძალა! ტყუილი ცდაა—საბჭოთა ხელისუფლების დანგრევა და მისი განადგურება. ის დღითი დღე მაგრდება და მტკიცდება, ხოლო ჩვენი მტრები კი სუსტდებიან.

საჭიროა ემიგრაციის ხელმძღვანელებმა შეიგნონ მათი მოღალატური საქმიანობა ერისა და სოციალიზმის წინაშე და დაყარონ იარაღი.

ვისაც მართლაც კეთილდღეობა სურს საქართველოს ერისთავის, დღევანდელ რეალურ საქართველოს ვერ უარყოფს იგი და საქართველოს მშრომელ ხალხთან ერთად იქნება ფაშისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაუშვათ ერთი წუთით, რომ რამიშვილებს აუსრულდათ მათი ზოოლოგიური ნატვრა. საბჭოთა მთავრობის დამარცხება და საქართველოს გამოყოფა საბჭ. კავშირიდან, განა შესძლებს ის სუვერენულ არსებობას? განა დასაშვებია ის, რომ რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მადა არ აეძრას იმისი დამორჩილების? განა კვლავ მოწამე არ გავხდებით ეროვნული შუღლის, გაუტანლობის, ახალი ომების, იარაღის ჟღარუნის? რომ დაეცეს საბჭოთა ხელისუფლება, განა შესაძლებელია, რომ შემდეგ საქართველოში დამკვიდრდეს მენშევიკური გეგემონია? ეს შეუძლებელია! დღეს საზღვარ გარედ მოკალათებული საქართველოს სხვადასხვა პარტიები, რომლებიც გაერთიანებული არიან ბლოკში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ ერთმანეთს სამკვდროთ გადაეკიდებიან ძალა-უფლების ხელში ასაღებათ და თავიანთი გეგემონიის გასამტკიცებლად. ამას დაემატება გართულება მეზობელ ერებთან და ამ შინაური და საგარეო რეაქციის, ფაშისტების ვაკხანალიის დროს რასაკვირველია საქართველოს არ ექნება საშუალება აღმშენებლობითი მუშაობის. ასეთი იქნება საქართველოს ბედი ემიგრაციის რესტავრაციის შემდეგ, ხოლო ამჟამად მათი საქმიანობის შედეგი არის ახალგაზრდობის საქართველოდან გადასახლება ციმბირის სუსხიან და ყინულიან მიდამოებში. ეს მოტყუებული ხალხი გახდა მსხვერპლი რამიშვილის მიერ წარმოებულ დამღუპველ პოლიტიკისა.

დროა ჩააგოთ ის მახვილი, რომელსაც საბ. ხელისუფლებისათვის ლესავთ სიტყვით თუ საქმით, დაუბრუნდეთ საქართველოს, ითანამშრომლოთ და იმუშაოთ ხელისუფლებასთან, საერთო მტრის გაერთიანებულის ძალით მოსასპობათ! გასაკეთებელი ბევრია. გვერდში ამოუდექით ეხლანდელ მთავრობას, რომ საერთო შრომით მეტი შევქმნათ. ასე უნდა მოიქცეს ემიგრაციამ თუ მართლა უყვართ მათ საქართველოს მშრომელი ხალხი.

დროა დაანებონ თავი საზღვარ-გარედ ხეტიალს, მივიდენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და ხელი აიღონ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე. მოისვენეთ თქვენც მოგვასვენეთ ჩვენც. აი, ეს არის ჩემი ყოველგვარ პარტიის გარეშე მდგომ კაცის სიტყვა და გულწრფელი სურვილი.

**დავით გოგუაძე.**

# თეატრი და რევოლიუცია*)

თეატრის შემავალ ელემენტებს რომ კლასიფიკაცია გაუკეთოთ, რეჟისორი მესამე ადგილას უნდა მოვაქციოთ. ეს კლასიფიკაცია ასეთია. პირველი რიგი ეკუთვნის დრამატურგს. მეორე — მსახიობს. მესამე — რეჟისორს. შემდეგ მეოთხე და მეხუთე პირებად თეატრში დამხმარე ძალებად უნდა მოვიყვანოთ: მხატვარი და მუსიკოსი. თანამედროვე თეატრში კი, ზოგიერთი რეჟისორის წყალობით, ეს უკულმა ხდება და პირველ რიგში წამოჭიმული არიან: მხატვარი და მუსიკოსი. სცენაზე იმდენად გამეფებულია მხატვრობა, ბუტაფორიზმი, მუსიკა - სიმღერა და ცეკვა რომ აღარ მოსჩანს არც რეჟისორის არც მსახიობის და არც დრამატურგის შემოქმედება. განსაკუთრებით, ხშირად მსახიობის და დრამატურგის შემოქმედება სრულიად ჩაკლულია.

თანამედროვე თეატრის კრიზისი სწორედ აქედან წარმოიშვა და ეს კრიზისი გაგრძელდება მანამდე ვიდრე თეატრს არ დაუბრუნდება თავისი ბუნებრივი სათავეები, ვიდრე მისი ორგანიზმი არ გაჯანსაღდება, ვიდრე დრამატურგი არ იტყვის თავის სიტყვას, ვიდრე მსახიობი არ აუშვებს თავის ტემპერამენტს.

ოქტომბრის რევოლიუცია, რომელმაც ცხოვრებაში ბევრ მახინჯ მოვლენას მოუღო ბოლო, თეატრის ხელოვნებაშიაც, ამ მახინჯ მოვლენას დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ მოუღებს ბოლოს. თეატრი უნდა განვათავისუფლოთ ზედ-მეტ ძიძებისაგან. უნდა ჩამოაცალოთ ყოველივე, ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც თეატრს კისერზე მაჯლაჯუნასავით აწევს და სულს უხუთავს.

თანამედროვე თეატრში განუსაზღვრელ დიდ უფლებებით სარგებლობს რეჟისორი. საჭიროა მას ეს უფლებები ცოტა შეუკვეცოთ მსახიობის და დრამატურგის სასარგებლობს.

მე პირველი ვიტყვი: თეატრში საჭიროა — დიქტატურა და ესთეტიური ტერორი. თეარტში, რასაკვირველია, დიქტატორი რეჟისორი უნდა იყოს. მაგამ ეს დიქტატურა ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც უზურპატორობა ან და როგორც უბრალო ყოყლოჩინობა და თავგასულობა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი თეატრში და შესამჩნევი ზარალიც მოაქვს.

მეიერჰოლდმა ახალ თეატრს ბევრი სარგებლობა მოუტანა თავისი თეატრალური რეფორმებით, მაგრამ მანვე თეატრს ბევრი უარყოფითი მხარეები შესძინა. მეიერჰოლდის თეატრს ბევრ დადებითი მხარეებთან უსათუოდ აქვს ნაკლიც. ეს არის უკიდურესი ფორმალიზმის გაბატონება დრამატურგიის ხარჯზე. მისი დადგმა „რევიზორი“ ს იმის მაჩვენებელია, რომ მეიერჰოლდისათვის დრამატიული ნაწარმოები არაფერს ნიშნავს, თუმცა ვხედავთ თუ როგორ წინააღმდეგობაში ვარდება იგი.

ერთ დროს მეიერჰოლდი სწერდა: „ახალი თეატრი ლიტერატურიდან იზრდება. დრამატიულ ფორმების გარდატეხის დროს, ინიციატივას მუდამ ლიტერატურა იღებდა. ჩეხოვმა თავისი „ჩაიკა“ მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოშობამდე დასწერა. ვან ლერბერგი და მეტე-

*) დასასრული. იხ. „ახალი გზა“, № 69.

რლინკი დაიბადნენ ადრე, ვიდრე მათი თეატრები. იბსენი, ვერჰარნი თავისი „რიჟრაჟით“, ბრიუსოვის — „მიწა“, ვიაჩესლავ ივანოვის — „ტანტალი“ და სხვა, მაგრამ სად არიან თეატრები, რომელთაც მათი დადგმა შეეძლოთ? ლიტერატურა — ჰქმნის თეატრს“. (იხილეთ მეიერჰოლდის წიგნი „თეატრი“ გვ. 150—51).

ჩვენ ამას დავუმატებთ, რომ ძველი საბერძნეთის თეატრის სახე ჩვენთვის სრულიად წარიშლებოდა, თუ სოფოკლე და ესქილი არ ყოფილიყვენ. არაფერს გვეტყოდა ინგლისის თეატრი, მის ჰორიზონტზე, რომ შექსპირი არ წარმოშობილიყო. ასე იყო ესპანეთშიაც: ლოპე-დე-ვეგას უმისოთ ესპანეთის თეატრი — წარმოუდგენელია; წარმოუდგენელია საფრანგეთის თეატრი უმოლიეროდ და სხვ. ყველგან და ყოველთვის დრამატურგია წინ უძღვებოდა თეატრს და უქმნიდა მას განვითარების ბაზას, უქმნიდა ფორმებს და სიცოცხლის წყაროს.

დღეს კი წინააღმდეგს ვხედავთ და დრამატურგია ან სულ არ არის, ან და რეჟისორის ხელით აბარგებულია სცენიდან.

მეიერჰოლდი თითქო არ უარჰყოფს დრამატურგიას, მაგრამ საქმით სულ წინააღმდეგ მიდის; დრამატურგიის მიერ შექმნილ სტილს შლის და მის მაგივრად გვაძლევს მხოლოდ რეჟისორულ ექსპერიმენტებს, რომელნიც სწორედ იმას ვერ ჰქმნიან, რაც შეჰქმნეს ძველმა დრამატურგებმა.

„თანამედროვე რეპერტუარში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი ძიება, რომელსაც სოციალური შინაარსის მნიშვნელობა ჰქონდეს და ამავე დროს ატარებდეს მხატვრულ ფორმებსაცო“, — ამბობს მეიერჰოლდი და ოქტომბრის 10 წ. თავზე იგი სდგამს: „რევიზორს“, „ვაი ჭკუისაგან“ და „ჰამლეტს“. ამის შემდეგ მეიერჰოლდის თაეტრი კოტრდება, როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრულად, რადგან მის რევოლიუციონურ თეატრში ვხედავთ ისევ ძველ კლასიკების ჰეგემონიას და ეს კლასიკები მას ამარცხებენ იმიტომ, რომ მის თეატრში კლასიკები ვერ ჰპოულობენ სათანადო განსახიერებას, განსაკუთრებით მსახიობთა ტემპერამენტის მხრივ.

მეიერჰოლდი თუმცა მსახიობის ემოციონალურ განცდას არ უარყოფს; მის თეატრში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მსახიობის სიტყვას, მეტყველებას, მაგრამ ამით იგი მაინც ვერ ახწევს დიდ შთაბეჭდილებას, ერთის მხრივ თავის მსახიობთა უტემპერამენტობით და მეორეს მხრივ თავის ტრიუკებით. მაგალითად „რევიზორში“ ასეთი ტრიუკები ბლომად არის გაკეთებული და გოგოლის ნაწარმოების ზეგავლენა მაყურებელზე ქარწყლდება ამ ტრიუკებით.

მეიერჰოლდი დრამატიულ ნაწარმოებს დესპოტიურად ექცევა. ერთ ადგილს მეორე ადგილს გადაიტანს. თავს ბოლოში მოაქცევს, ბოლოს თავში და ვარდება ულოღიკობაში, აზრთა წინააღმდეგობაში. დრამატურგიის ტექსტის გადაკეთება შეიძლება, მაგრამ საკითხია: როგორი დრამატურგის? გოგოლის და შექსპირის ტექსტის შეცვლა ყოვლად შეუძლებელია. შეიძლება მხოლოდ მათი ტექსტის შემოკლება და გმირების გაგება თანამედროვე ეპოქის კარნახით მეირჰოლდს კი სწორეთ ეს ვერ აქვს გათვალისწინებული.

თუ მეიერჰოლდის თეატრი ისევ ძველ რეპერტუარს უბრუნდება, მაშინ რაღა უნდა ჰქნან სახელგანთქმულ „სამხატვრო თეატრმა“ და “მცირე თეატრმა„, რომელნიც ყოველთვის ძველს ებღაუჭებოდნენ?

სავალალოა, რომ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის შემდეგაც ჩვენ თეატრებში ისევ ძველი დრამატურგიის ჰეგემონიას აქვს ადგილი და ეს ასე იქნება მანამდე, სანამ არ შეიქმნება ისეთი დრამატურგია, რომელიც ძველის შეცვლას შესძლებს და მოგვცემს ახალ სახეს ახალ დრამატურგიისას. ასეთი დრამატურგია კი წარმოიშვება კულტურული რევოლიუციის გზით. ჩვენი სურვილითა და კარნახით კი დიდს ვერაფერს გავაკეთებთ.

1794 წელს საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტმა საფრანგეთის პოეტებს მოწოდებით მიმართა, რომ მათ დაეწერათ დრამები და შეექოთ და სახელი გაეთქვათ იმ ამბებისათვის, რომელთაც ადგილი ჰქონიათ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს. მაგრამ ამ მოწოდებას არავითარი ნაყოფი არ გამოუღია.

მხოლოდ მთელი საუკუნის შემდეგ რომენ როლლანმა შექმნა თავისი შესანიშნავი პიესები: „ბასტილიის აღება“ და „დანტონი“ და უკვდავჰყო სცენაზე საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ეპოქა.

ასევე იქნება ჩვენ დროშიაც. ჩვენი ეპოქა იმდენად გრანდიოზულია, იმდენად დიდია თავისი მასშტაბით, რომ მისი გაზომვა და განსახიერება ათი წლის განმავლობაში შეუძლებელია. ხალხს რომელმაც თვით შეჰქმნა დიდებული ეპოქა, რომელიც თვით მოწმეა რევოლიუციის გამარჯვებისა, ვერასოდეს ვერ დააჯერებ იმ გმირების ასახვაში, რომელნიც თვით უნახავს ცხოვრებაში, გაუგია მისი ხმა, მოწამე ყოფილა მათი მოქმედებისა. ოქტომბრის დიად რევოლიუცია ღირსეულ გამოძახილს იპოვის მხოლოდ მომავალში, მხოლოდ მაშინ როცა მხატვრულ შემოქმედების საშუალება მიეცემა დამშვიდებით გადაათვაროს განვლილ ისტორიული ეპოქის დადებით და უარყოფითი მხარეები. დღეს კი ჩვენი ნერვები ჯერაც არ დამშვიდებულა--და ჩვენს ეპოქას იმ დამშვიდებული თვალით ვერ შევხედავთ, როგორც ხედავდა ვეიმარის ფილოსოფოსი თავის ეპოქას, როდესაც ფაუსტსა სწერდა.

მართალია ჰეინეს აზრი, როდესაც ამბობს, რომ რევოლიუციის ქარიშხალი აქრობს პოეზიის კანდელსო! არც ერთ რევოლიუციონურ ეპოქას, რევოლიუციის ფაზისში არ მოუცია ღირსშესანიშნავი ხელოვნების ნაწარმოები. ბომარშემ და მელიერმა თავისი კომედიები დასწერეს საფრანგეთის რევოლიუციამდე. შილლერის „ყაჩაღებმა“ წინ უსწრო საფრანგეთის რევოლიუციას.

ანატოლ ფრანსმა თავისი რომანები მხოლოდ საფრანგეთის რევოლიუციის შემდეგ დასწერა. ყოველ დროის დიდებულ ეპოქას, მხატვრული შემოქმედება ან წინ უსწრებდა, ან შემდგომ იპოვიდა გამოძახილს. განა დოსტოევსკის და სკრიაბინის შემოქმედება ოქტომბრის რევოლიუციის წინამორბედათ არ ჩაითვლება? განა მაქსიმ გორგის „ფსკერზე“, რევოლიუციონური სულით არ იყო გაჟღენთილი? განა დოსტოევსკის „კარამაზოვშჩინა“ რუსეთის ტრაგედია არ იყო? განა მან არ უწინასწარმეტყველა ძველ რუსეთს დაღუპვა და არ გამოიყვანა სცენაზე კოშმარული სახეები, რომელნიც სულს უხუთავდენ ტანჯულ ქვეყანას?, განა სკრიაბინმა თავისი „პრომეთე“ მაშინ არ შეჰქმნა, როდესაც დადგა ძველი კულტურის აღსასრული? დიახ, ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენი დიდებული ეპოქა წინასწარ განჭვრეტილი იყო დიდებულ მხატვრების მიერ და ჩვენ შემდგომაც ჩვენი ეპოქა ასეთივე დიდ გამოძახილს იპოვის მომავალ ახალ მხატვრულ შემოქმედებაში.

ოქტომბრის რევოლიუციის ნაყოფს ჩვენ შემდგომ ვიხილავთ. ჩვენ, რომელნიც ვეკუთვნით ახალ თაობას, შეიძლება ვიხილოთ სრულიად ახალი შემოქმედება, რომელიც წინანდელზე გაცილებით მაღლა იდგმება და ვნახავთ ახალ რენესანს. მაგრამ ამ რენესანს მოცდა უნდა. იგი მოვა. იგი უსათუოდ მოვა...

დღეს კი რა უნდა ვქნათ? უნდა დაუბრუნდეთ იმ გმირულ შემოქმედებას, რომელიც გამსჭვალულია ჩვენი პათოსით! გადაჭრით უნდა ვთქვათ უარი დღევანდელ მეშჩანურ ხელოვნებაზე, რომელიც რაღაც პრეტენზიებით მიდის, მაგრამ არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენი ეპოქის დინამისაკთან.

ჩვენი მისწრაფება მონუმენტალურ ფორმებისადმი უნდა გამოიხატოს არა მარტო სასცენო ხელოვნების გარეგნულ ფორმებში, არამედ შინაარსშიც. დღევანდელი ჩვენი მაყურებელი არ მიიღებს იმისთანა ნაწარმოებს, რომელიც თავისი ფორმებით არ ემყარება შინაგან განცდას.

ინდივიდუალიზმის შინაგანმა კრიზისმა და ნებისყოფის დეკადენტურმა დამბლის ეპოქამ წარმოშვა მოსკო-

ვის სამხატვრო თეატრი, რომელსაც არ ახლავს სწორედ ის შინაგანი დინამიკა, რომლითაც სავსეა ჩვენი ახალი ყოფა - ცხოვრება. ჩვენი ეპოქა მოითხოვს გამძაფრებულ ნებისყოფაზე აგებულ თეატრს.

უნდა აღვადგინოთ შექსპირის თეატრის ძლიერი პათოსი. უნდა შე[illegible]იყვარ[illegible]ოთ თე[illegible]რის მაღალი პათეთიკურობა. ახალმა მსახიობმა უნდა დასძლიოს შიში პათოსისა და დაუბრუნდეს იმ მშვენიერ კლასიკურ ტრადიციას, რომელიც გვასწავლის, რომ — ადამიანის სული უნდა გამოხვატოთ უფრო ღრმად და სრულად, ვიდრე ეს ხამდვილად ცხოვრებაში ხდება. უნდა აღვადგინოთ ანტიური თეატრის მონუმენტალობა, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება საფუძველი სასცენო ხელოვნებისა.

მართალია ლუნაჩარსკი, როდესაც ამბობს: „ახალი თეატრი უნდა ანტიურ თეატრს უდრიდეს თავის არქიტექტონიკის სიმარტივით და რელიგიოზურ ფილოსოფიურ აზრის სიღრმით. მას უნდა ჰქონდეს შექსპირის გარეგანი და ფსიხოლოგიური ელვარება“.

[illegible]ესა[illegible] შექსპირის რეპერტუა[illegible] [illegible]ვადგენთ, [illegible] შეგვეძლება მის მონუმენტალურ ფორმების და დინამიკის ტრაგედიებში ჩვენი თანამედროვე სული ჩავბეროთ. სას[illegible] [illegible] დღეს [illegible]ელობის [illegible] და ვაქციეთ, მაშინ როდესაც იგი ნაყოფია ჩვენი ნებისყოფის იმპულსისა. თანამედროვე თეატრის სტატიკა წარმოშობილია დეკადენტური ფსიხოლოგიის მიერ, თანამედროვე ეპოქა კი სავსეა დინამიურ გაქანებით, რევოლიუციონურ პათოსით; თანამედროვე თეატრმა ან სრულიად უნდა უარჰყოს ტრაგედია, ან არა და შეასრულოს ისე, როგორც ტრაგედია და [illegible] როგორც [illegible] [illegible]მა[illegible] [illegible] გვდიით კი თეატრი ვერ იარსებებს, რადგან თეატრის და პოეზიის ყველაზე უმაღლესი ფორმად მიჩნეულია — ტრაგედია. მსოფლიო დრამა[illegible]გიაში ტრაგედიის [illegible]ული სახე შექმნა მხოლოდ შექსპირმა. შეიძლება კიდევ დავასახელოთ სოფოკლე და ესქილი, მაგრამ ისინი ჩვენ საუკუნეს მეტად დაშორებულნი არიან თავიანთი შემეცნებით და თავის ნაწარმოებთა ბრმა ბედისწერით.

შექსპირის გმირები კი ღრმა რეალიზმის და სინამდვილის მატარებელნი არიან. ჰამლეტის ყოფნა არ ყოფნას კაცობრიობა დღესაც ისევე მწვავედ განიცდის, როგორც ამ რამოდენიმე საუკუნის წინად, განა თანადროული არ არის ჰამლეტის ეს დიდებული გოდება:

„ვინ მოითმენდა ჟამთა სიმწარეს, მტარვალთა ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას, ტანჯვასა მწვავესა უარჰყოფილ სიყვარულისას, მართლ მსაჯულების გვიანობას, მძლავრთ უკმეხობას, შეურაცჰყოფას ღირსებულის უღირსისაგან?“.

განა ეს დღევანდელი მწარე სინამდვილე არ არის, მაშინ როდესაც იმპერიალიზმის თავაშვებული თარეში ხან ერთ ქვეყნის კუთხეში მძვინვარებს და ხან მეორეში. ჰამლეტმა ჩვენზე ადრე გაჰკიცხა სასტიკად ომი და აღიარა, რომ „იგი სიმდიდრის და ფუფუნების ნაყოფი არის, რომელიც შიგნით გვამში დაწყლულდება ხოლმე და გარედან თითქო უმიზეზოთ ჰკლავს ადამიანს“, და შემდეგ ჰამლეტი როგორი სარკაზმით დასცინის ადამიანს და ამბობს:

„უნდა იბრძოლოს რაღაც მცირე მიწის გულისთვის, რაიც მაჩხუბარ მეომართა ვერც კი დაიტევს და არ იკმარებს მისთვის მკვდართა მისაბარებლად“!

დღეს, როდესაც მეფეების ტახტები ერთი მეორეზე ინგრევა რა ულმობლად გვეჩვენება ჰამლეტი ამ მეფეების წინაალმდეგ, რომელიც დასცინის მათ. და „მსუქან ხელმწიფეებს“ ეუბნება: „თქვენ „მჭლე გლახაკებთან“ ერთად, სიკვდილის შემდეგ „პოლიტიკოსის მატლების“ სუფრაზედ იქნებით მიტანილიო“.

და სწორედ ამაშია შექსპირის ტრაგედიების მაღალი ღირსება, რომ გგონიათ ისინი დაწერილი იყოს დღეს და შეეძლოთ ჩვენი ცხოვრების გამოხმაურება.

ზოგიერთ რე[illegible]სორებს და ზოგიერთ მსახიობებთ ჰამლეტი გამოჰყავთ რაღაც არამიწიერ არსებათ, ნევრასტენიკად და ამ რიგად გვაშორებენ იმ ადამიანის სახეს, რომელიც თავისი ღრმა აზროვნებით, უაღრესად რეალურია. სავსეა ბუნტარულ ვნების - ყოფით და რევოლიუციონური სულისკვეთებით და ის გარემოება, რომ ჰამლეტი თვით ხელმწიფურ ჩამომავლობას ეკუთვნის და ამავე დროს ამ ხელმწიფურ პრივილეგიას, უპირატესობას და უსამართლობას ებრ[illegible]ის — ჰამლეტი უფრო იზრდება როგორც მებრძოლი პიროვნება, როგორც რევოლიუციონერი.

მოჰხადეთ პრინც ჰამლეტს შავი წამოსასხამი და თქვენ წინ წარმოსდგება ადამიანი, რომელიც სწყვეტს სიკვდილ - სიცოცხლის პრობლემებს და ეძებს იმ ბოროტების სათავეს, საიდანაც მომდინარეობს მსოფლიო უკუღმართობის დისჰარმონია.

ჩამოაცალეთ რიჩარდ მესამეს პლანტაგენტის დინასტია და მაკბერტს ბარბაროსული ეპოქა და თქვენ წინ წარმოსდგებიან ახალი ტირანები, ახალ ტანსაცმელში. მოჰხადეთ მეფე ლირს თავისი გვირგვინი და თქვენ დაინახავთ უბრალო ადამიანის ტანჯვის უფსკრულებს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ შექსპირის ტრაგედიის გმირებზე, ჩვენ აქ მათი გარეგნული მხარეები და აქსესუარი კი არა გვაქვს მხედველობაში, არამედ ის ღრმა პოტენცია, რომლის მატარებელნი არიან ისინი. მართლა რა საჭიროა ჰამლეტს თავისი ეპოქის სტილის კოსტიუმი გავხადოთ და ფრაკი ჩავაცვათ? უკვე გააკეთეს ასეთი ექსპერიმენტი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კოსტიუმების გამოცვლით ჩვენ გმირებს ვერ გავათანამედროვებთ, თუ მათში, შინაგან არსებაში არ ვიპოვით ისეთ აზრებს, რომელნიც ანათესავებდნენ ჩვენ ეპოქას.

კორნელის და რასინის გმირებს გინდა გამოუცვალეთ კოსტიუმები, გინდა არა. ისინი დღეს მკვდრები არიან, რადგან ჩვენ ეპოქასთან მათ აღარაფერი აქვთ საერთო. შექსპირის გმირები კი სულ სხვაა. ისინი ისევ სცოცხლობენ, რადაგან მათი განცდები ღრმა ადამინურია.

თუ ჩვენ აღვადგენთ შექსპირის თეატრს, მთელი თავისი ღრმა პოტენციით, ჩვენ მაშინ უფრო გაცილებით მალე მივუახლოვდებით ახალ თეატრს, იმ მოძრაობას, რომლითაც სავსე უნდა იყოს მომავლის თეატრი, თეატრი ახალი სინთეზის, ახალი მონუმენტალური ფორმების. ახალმა თეატრმა უსათუოდ უნდა გაიაროს გზა შექსპირის შემოქმედების ტეხილებისა, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ახალი თეატრი, როგორც თავის შინაარსით, ისე ფორმებით გაუტოლდება და შეიძლება ჭარბაც დაღგეს შექსპირის თეატრზე, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, სანამ იშვებოდეს ახალი თეატრი, ჩვენ უნდა აღვიზარდოთ შექსპირის ტეხნიკაზე, მის რთულ და დღემდე უძლეველ ნაწარმოებებზე.

მონუმენტალურ თეატრის შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ გაცხოველებული შინაგანი პათოსი. ასეთი, პათოსი კი აქვს მხოლოდ შექსპირს. სასცენო რეალიზმი, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს წავა შექსპირის რეალიზმის გზით და ახალი თეატრის რეალიზმიც გადაიხრება იმ პირობითი ფორმებისაკენ რა ფორმებშიაც წარმოიშვა და განვითარდა შექსპირის თეატრი.

მხოლოდ ერთად ერთმა შექსპირმა გაიგო არისტოტელის დიდებული თეორია და ამ თეორიაზე ააგო თავისი ტრაგედიები. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ კარლ მარქსი, რატომ აყენებდა შექსპირს ყველა პოეტებზე მაღლა და დრამატიულ ხელოვნებაში მისი ბადალი არავინ მიაჩნდა.

ოქტომბერმა თეატრი დააყენა დიდებულ რენესანსის წინ; მაგრამ ეს რენესანსი ჯერ არ მოსულა. თეატრის ოქტომბერი ჯერ ისევ მთლიანად მომავალშია და ეს მომავალი ჩვენ გვჯერა. იგი მოვა და თეატრში შექმნის ახალ ეპოქას.

ვახტანგ გარრიკი.

---

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ**

[illegible] მე-6-ე სტამბა, კამოს [illegible]

1928 წლიდან — ამ ნომრიდან —

შეწყდა ეს გამოცემა.

სულ გამოვიდა 107 ნომერი